



პრსენალი

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

№ 13 (82), 26 ივნისი - 9 ივლისი, 2009. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**რა ელის
რაზმებისთვის...**

**ექსკლუზივი:
XXI საუკუნის
„დრაკონი“ გოლფდ
ქართულ არმიასში**



1425
2009

**ქართვალ
სნაი პერთა
პაპერობა**

**გაიხვლება თუ არა
საქართველო
ბირთვულ ქობინებზე?**



გაიხვლება
თუ არა
საქართველო
გირთვულ
ქოგინებსაჴა?!

6



ყველაფერი
გზრის
განკის
ასაუფთქებლად

8



Paris
Air Show
2009

10

XXI საუკუნის
„დრაკონი“
გმლოდ ქართულ
არმიასუი!

27



გვიროგის
ფასი

34



PI-2000 –
თავდასუვის
პერსონალური
იარაღი
რუსულად

53



სარჩები

- 1 **ახალი ამბები**
აქალიღოსაში
- 4 **აქალი ამბები**
აქალიღოსაში ავარიისა
- 6 გაივცლება თუ არა საქართველო ბირთვულ ქობინებზე?
რეაქციები აქალიღოსაში
- 7 შეჯიბრება სნაიპერებს შორის
რეაქციები აქალიღოსაში
- 8 ყველაფერი მტრის ტანის ასაფეთქებლად
აქალიღოსაში
- 10 Paris Air Show 2009
ავიაციის დღეები
- 13 რა ელის რუხერვს?
სამსახურისა
- 14 ვინ დასჯილობს პრეზიდენტის კანდიდატურაში:
ჯამში თუ მოქმედებები?
მედიისა
- 18 ერთი ქართველი სამხედროს ისტორია
ავიაციისა
- 21 თბილისში აგებული თვითმფრინავები
ინტერვიუსა
- 27 XXI საუკუნის „დრაკონი“ მხოლოდ ქართულ არმიამი!
მოსახლასა
- 34 გმირობის ფასი
გადაწყვეტილებისა
- 34 საქართველოს სახელმწიფო უსიძღვრები – ორდენები და მედლები
ინტერვიუსა
- 37 ვინ რამდენს ხარჯავს შეიარაღებაზე
საინფორმაციოსა
- 41 ქვეყნის სანაპირო დაცვას ახალი ფუნქციები შეემატა
საზღვაო ინტერვიუსა
- 44 საზღვაო ნაღმები – წყატქემა მოულოდნელი საფრთხე
საზღვაო ავიაციისა
- 48 საზღვაო მოვლენები
რეაქციისა
- 50 ყავასიური მოვლენების მიმოხილვა
ახალი შეიარაღება
- 51 ჩინეთი სარაყეგო კატარების მშენებლობას აგრძელებს
პროექტისა
- 52 არსენალტორი
არსენალის ინტერვიუსა
- 53 ПП-2000 – თავდაცვის პერსონალური იარაღი რუსულად

რეაქციის სვეტი

რუსეთის მასშტაბის მხოლოდ ორი-ოდე დღის პარკაშკანად ეყო საქართველოდან გაქცეული შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ლეიტენანტის ალიკა ბჟანაას თემის მუსირება. მოსკოვში მალევე მიხვდნენ, რომ გაქცეული ლეიტენანტის ამბები ვერ გადაწონდა ოკუპირებული ახალგაზრდის რაიონიდან რამდენიმე თვის წინ გაშოქცეული უმცროსი სერჟანტის ალექსანდრ გლეზოვის ნამოქმედარს.

ჩანს, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებზე, რომელიც დღემდე ამაჟობს თავის კატეგორიულ წარსულით, სპეციალური დავალება მისცა რუსეთის სპეცსამსახურებს დენერტიფიკაციის თემის გასაინტერაგებლად, მაგრამ არაფერი გამოვიდათ, — სერჟანტ გლეზოვისგან განსხვავებით ლეიტენანტ ბჟანაას რადიოინტერვიუსი ცუდი არაფერი დასცდენია თავის სამხედრო ნაწილზე და არც საქართველოზე უიქვამს აუცი, თუც მისი ნამოქმედარი მინც სამშობლოსა და სამხედრო ფიცის დაღატის ტოლფასია...

ირაკლი ალაფაშვილი
გიორგი შორაქოლიანი

ყურადღება!
გამოინერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ ვიკიში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუეთხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
22.06.2009

გახეთ „ვიკის პალიტრა“
დამატება ©
რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenal@kvirispalitra.com
ქურნალი გამოდის
ორ ვიკიში ერთხელ
პარასკევს

საქართველოს
პარლამენტის
სამედიისა

კასპიის ფლოტილია მუდმივ მზადყოფნაში იქნება

რუსეთის შეიარაღებული ძალების რეფორმირების ფარგლებში კასპიის ფლოტილია სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის ცენტრალური დაქვემდებარების ორგანო გახდება, მის შემადგენლობაში შემავალი შენაერთები და ნაწილები კი შემდეგი საბრძოლო მზადყოფნის კატეგორიაში გადაიყვანენ.

როგორც ფლოტილიის მეთაურმა ვიცე-ადმირალმა განაცხადა, 2009 წლის 1-ელი დეკემბრიდან დაიწყება ფლო-

ტილიის მართვის ორგანიზაციულ-სამტატო სტრუქტურის ოპტიმიზაცია პარალელურად სტრუქტურების გამოორიგებისა და კუროს და მეთიერების სიონიანი ამოცანების შემსრულებელი ორგანოების შეერთების ხარჯზე. მიუხედავად ამისა, რომ თანამდებობათა 25% შემცირდება, ფლოტილია რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების დამოუკიდებელი საბრძოლო ერთეული იქნება.

როგორც რამდენიმე ხნის წინ მას-

ბრევი საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რეფორმირების ფარგლებში კასპიის ფლოტილია 1-ელი დეკემბრისთვის შვიი ზღვის ფლოტის დაქვემდებარებაში გადავიდოდა და 2016 წლისთვის მისი შემადგენლობა განახლებულია, ნაწილები და შენაერთები კი მიიღებდნენ თანამედროვე საბრძოლო ხიმაღლებს, „რომლებსაც ტილი კასპიის ზღვაში არ ეყოლებათ“, — აცხადებდა ვიცე-ადმირალი.

საუდის არაბეთმა გამანადგურებელი Eurofighter Typhoon-ები მიიღო



საუდის არაბეთმა შეკვეთილი 72 მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი Eurofighter Typhoon-ებიდან პირველი ორი მიიღო და პირველი არაერთობული სახელმწიფო გახდა, რომლის შეიარაღებაში ზემოაღნიშნული თვითმფრინავები იქნება.

გარიგების თაობაზე ინფორმაცია

2006 წლის აგვისტოში გახმაურდა, მაგრამ მისი რეალიზაცია ბრიტანულ კორპორაცია BAE Systems-სა და საუდის არაბეთის მთავრობას შორის ადრინდელი თუდაცკითი ვარიანტებისა და კორუფციის ფაქტების გამოძიების გამო გაჭიანურდა.

შემკვეთმა ახალი მრავალმიზნო-

ბრევი გამანადგურებლები მოქველდნენ Tornado-ებისა და F-15-ების შესაცვლელად შეუკვეთა. კონტრაქტის ღირებულება, შეიარაღებისა და ტექნიკური მომსახურების გათვალისწინებით, 32,9 მლრდ დოლარს შეადგენს.

ევროპულ მწარმოებელსა და საუდის არაბეთს შორის გარიგების პირობების თანახმად, 24 გამანადგურებელი Typhoon-ი ევროპის ტერიტორიაზე აიგება, დანარჩენი 48 კი შემკვეთის საწარმოო სიმძლავრეებზე, რაც განპირობებულია საუდის არაბეთის გადაწვეტილებით, განვითაროს ქვეყნის ავიამრეწველობა.

ამჟამად ევროპული თვითმფრინავების შემკვეთები არიან გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და უსტრალია. გარდა ამისა, თვითმფრინავი მონაწილეობს ტენდერებში, რომლებიც გამოცხადებული აქვთ შეიქცარიას, ინდოეთსა და ააზონიას.

ჩრდილო კავკასიასა და კალინინგრადს პირველი რაკეტის მზადყოფნაში მიიღეს

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისა და კალინინგრადის განსაკუთრებული რაიონის გადაიარაღება პირველ რიგში დაიწყება და 2012 წელს დასრულდება. 2009 წელს ჩრდილო კავკასია რამდენიმე ათეულ ახალ და მოდერნიზებულ თვითმფრინავებს მიიღებს. გარდა ამისა, შენაერთებისა და ნაწილების შეიარაღებაში შუგა სარაკეტო კომპლექსები „ისკანდერები“.

როგორც 2008 წლის ნოემბერში რე პრეზიდენტმა შედეგად განაცხადა, „ისკანდერები“ ამ რეგიონში განთავსება ამერიკული რაკეტაწინააღმდეგო სისტემის აღმოსავლეთ ევროპაში განთავსებაზე ვაშინგტონის ვიდეოს პასუხა.

რუსეთის არმიის გადაიარაღება სამხედრო რეფორმის ნაწილია და როგორც შედეგად განაცხადა, არმიისა და ფლოტის მასშტაბური გადაიარაღება 2011 წელს დაიწყება.

როგორც რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ლე-ბურეკს ავიახალონზე განაცხადა, რუსეთის არმიის არ შეუტანია შეიარაღებაში ქართული ნალღაფარი ჯეჟმანტექნიკა, რომელიც რუსეთის განკარგულებაში ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების შემდეგ აღმოჩნდა.



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები გამანადგურებლებს ბალისტიკური რაკეტების გზის გადაჭრას ასწავლიან

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები განიხილავენ გამანადგურებლების ისეთი სისტემებით აღჭურვას, რაც საშუალებას მისცემს, გზა გადაუჭრან ბალისტიკურ რაკეტებს.

შესაძლო ვარიანტად ამერიკელი სამხედროები განიხილავენ ტექნოლოგიებს, რომელიც პროგრამა ALHTK (Air-Launched Hit-to-Kill)-ის ფარგლებში მუშავდება და რომლის დაფინანსება 2007 წელს დაიწყო. პროექტი ითვლისწინებს ფრენის ტრაექტორიის საწინააღმდეგო მონაკვეთებზე ბალისტიკური რაკეტების გზაგადაჭრული საჰაერო ბაზირების რაკეტა Patriot PAC-3-ის შექმნას. ამ რაკეტებით აღჭურვილი თვითმფრინავებს შეეძლებათ გზა გადაუჭრან ფრთიან რაკეტებს.

ატმოსფეროს ქვედა შრეებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპანია Raytheon-ის საჰაერო რაკეტა AM-RAAM-ები (Advanced Medium-Range Air-to-Air Missile). მინიმალური დაშუშვების შემთხვევაში მათი გამოყენება საბრძოლო თვითმფრინავებზეც შეიძლება.

ამერიკელი სამხედროები ასევე განიხილავენ F-15-ებისა და F-16-ების,



ასევე მებრუნე თაობის მრავალმიზნობრივი გამანადგურებელ F-22-ებისა და F-35-ების შეიარაღებას. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ამერიკელმა სამხედროებმა წაატარეს სწავლება, რომლის სტენარაც ითვალისწინებდა 2020 წელს

ევროპის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებას. როგორც იუწყებიან, სწორედ ამ სწავლებებმა გამოიწვია აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ALHTK-ტექნოლოგიებით დაინტერესება.

რუსეთმა უპილოტო საფრენი აპარატები იყიდა

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ისრაელისგან 53 მლნ დოლარად 12 უპილოტო საფრენი აპარატი იყიდა. როგორც იუწყებიან, კონტრაქტით გათვალისწინებულია 12 საფრენი აპარატის, ორი მისგან 10 ჰატარა მანქანის ვიდრე. უპილოტო საფრენი აპარატები რუსეთს ჯერ კიდევ არ მიუღია, რადგან კონტრაქტს ახლახან მოუწერეს ხელი. კომპანია „როსობორ-ინჟექსორტის“ დირექტორმა დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია ისრაელში უპილოტო საფრენი აპარატების შეესყიდვის შესახებ, თუმც არ დაუკონკრეტებია გარიგების დეტალები. მისი თქმით, ეს ტექნიკა არ არის საკმარისი რუსეთის არმიის შეიარაღებისათვის. როგორც რე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, უპილოტო საფრენი აპარატებს არა საბრძოლო მოქმედებებში, არამედ ამ ტექნიკის გამოყენების პრინციპების დასამუშავებლად გამოიყენებენ.

როგორც გაზეთი „კომერსანტი“ იუწყება, ისრაელის წარმოებული უპილოტო საფრენი აპარატების დიზაინი შედგება დაახლოებით 50 მლნ დოლარის შედეგის, თინხის ნახევარი უკვე გადაიცხა მოსწოდებულს. ლაპარაკია Israel Aerospace Industris (IAI)-ის სამ ახლო და საშუალო სიშორის სისტემაზე. ეს არის Bird-Eye 400, რომლის მასა

5 კგ-ს, მოქმედების რადიუსი კი 10 კმ-ს შეადგენს, MK150 (160 კგ და 100 კმ), ასევე Searcher MK II (426 კგ და 250 კმ).

შეგახსენებთ, რომ ისრაელი უპილოტოების მოქმედებაზე ინფორმაცია პირველად 2008 წლის ნოემბერში გახმაურდა, თუმც ოფიციალურმა პირებმა არ ანაუტონების უარეყვეს.



გაიხვლება თუ არა საქართველო ბირთვულ მობინაზზე?!



6-8 ივლისს მოსკოვში რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტები შეხვედებიან. სწორედ 6 ივლისს უნდა დაიბარდეს ფართომაშტაბიანი ოპერატიული-სტრატეგიული სწავლება Kavkaz-2009. ამ ორი თარიღის დამთხვევა შემთხვევითი შეიძლება სულაც არ არის, რადგან ეტკობა, სწორედ მედვედევი-ობამას პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე გადაწყდება მსოფლიოს ბედი, მათ შორის ჩვენი პატარა საქართველოსიც.

ორი ზესახელმწიფოს ლიდერი, ძირითადად, გლობალურ პრობლემაზე, ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების შემცირებაზე ისაუბრებს.

ობამას წინასწარჩენილი ერთ-ერთი მთავარი გეგმა იყო სტრატეგიული შემცირების შეიარაღების ბირთვული ქობინების რიცხვის ათას ერთეულამდე (ითითებული მხრიდან) შემცირება და აშშ-ის პრეზიდენტი რუს კოლეგასთან შეხვედრასას ცდებდა ამერიკულ აბოძრეკულებს დაპირება შესურსოვლი. მაგრამ დათხმნდებო თუ არა კრემლი თეთრი სახლის ინციტატებს და თუ დათანხმდა, რას მოითხოვს სამაგვიეროდ პრეზიდენტ ობამასგან?

ახლანან რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ძალზე მრავალსმეტყველო განცხადება გააკეთა: რუსეთი რადიკალურად შეამცირებს სტრატეგიული შემცირების შეიარაღების მატარებლებს, ასევე მათ ბირთვულ ქობინებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ უარს იტყვის რაკეტსაწინააღმდეგო გლობალური

სისტემის შექმნასა და მისი კომპონენტების აღმოსავლეთ ვეროპაში განთავსებაზე...

როგორც ხედავთ, ზესახელმწიფოების პოლიტიკურ-სტრატეგიული თამაში გლობალური მასშტაბით მიდის.

ინფორმაციისთვის: 1991 წელს საბჭოთა კავშირმა აშშ-თან დაღო ხელშეკრულება „სტრატეგიული შემცირების შეიარაღება-1“, რომლის თანახმადაც ითითებულ ქვეყნებს სტრატეგიული ბირთვული ქობინების რიცხვი 6000-მდე, ხოლო მათი მატარებლების (სახმხლო და ბირთვული წყალქვეშა ნავების ბალისტური რაკეტები და საკონტინენტური სროლის ბომბდამშენების) კი 1600-მდე უნდა შემცირებულიყო.

2002 წელს მოსკოვში ხელი მოაწერეს დამატებით ხელშეკრულებას, რომელიც ბირთვული ქობინების კიდევ უფრო შემცირებას — ითითებული მხარისთვის 1700-2200-მდე — ითვალისწინებდა.

ხელშეკრულების „სტრატეგიული შემცირების შეიარაღება-1“ მოქმედების ვადა 2009 წლის 5 დეკემბერს ითურება და პრეზიდენტები (უფრო ამერიკის) სწორედ ამდროშაც ჩქარობენ.

როგორც ჩანს, რუსეთი შემცირების სტრატეგიულ ბირთვულ ქობინების 1500 ერთეულამდე და სახმხლო დაცელებლად მოითხოვს აღმოსავლეთ ვეროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შესამე პოზიციური რაიონის შემცირებისას სასწრაფო შეჩერებას.

პრეზიდენტ ობამას კი ბირთვული ქობინების 1500-მდე შემცირება ზელს არ აძლებს, ის ითვის წინასწარჩენილი დაპირების — არა უმეტეს ათასი ბირთვული ქობინი — ტყვეობაშია.

აქედან გამომდინარე, მოსკოვში 6-8 ივლისს განდინობული პოლიტიკური ვაჭრობა გაიმართება, რომელშიც დათითებულ წახვლა უფრო აშშ-ს მოუწევს.

სამეც იმ არის, რომ აშშ-სთვის რუსეთის სტრატეგიული ბირთვული პრეტენციად უბარეკულესი საფრთხეა. თეთრი სახლისთვის კატეგორიულად მიუღებელია ერთი ბირთვული ქობინის აციკება, მაეც კი რომელიმე ამერიკულ ქალქში, რომელსაც შეიძლება მილიონი კაციც კი შექმროს. კრემლი კი, როგორც სწავლა, ნაკლებად ფრთხილს შევიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე და რუსეთში დელსაც აქტუალურია მთერი მსოფლიო ომის დევიზი: „За ценой не постоит!“
თეთრ სახლს მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა აქვს, მოლაპარაკებებით შეამცირების რუსეთის სტრატეგიული ბირთვული შეიარაღება და შექმნას სრულყოფილი რაკეტსაწინააღმდეგო ფარი, რომელიც ჩრდილო ამერიკის კონტინენტს რუსული (და შემდეგში ჩინური, ჩრდილოკორეული და ინარული) ბირთვული თავდასხმებისგან მტეტი ალბათობით დაიცავს.

რუსეთის სტრატეგიული შემცირების შეიარაღება ტექნიკურად და მორალურად მეტელება და შეიარაღებლად იხსნება შემცირების გარეშე. მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე მღიერი (მას 10 ბირთვული ქობინი გადააქვს) სტრატეგიული რაკეტა „სატანა“ შახტში ითქმის 30 წელია დგას და მალე მოლაინად მიიხსნება შეიარაღებიდან.

ერთადერთი რეალური საშუალება, რომელიც დღეს რუსეთის აქვს აშშ-ისთვის, მიბილური სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსები „ტოპოლი“ და „ტოპოლი-მ“-ია, რომელიც თავის დროზე ჩვენი თანამემამულე ალქსანდრე ნადირაძის ხელმძღვანელობითაა შექმნილი.

ბალისტური რაკეტების დაძველების და ჩამოტრების გამო, კრემლი ცდებდა უფრო მეტი გამოსტყუროს ახალაწილე პრეზიდენტ ობამას, რომელსაც პოლიტიკური ვაჭრობის დიდა გამოსტყურობა მინცდამინც არ უნდა ჰქონდეს.

ამიტომაც არის საშუაშროება, რომ სტრატეგიულ შეიარაღებაზე ვაჭრობის დროს კრემლმა საქართველოს საკითხიც „შეავლოს“, მათ შორის ოუკრაინული ტერიტორიების ეტამობრეად აღიარება და საშხრეო ვაკეკაისი რუსეთის საშხრეო-პოლიტიკური გეგენის სფეროში დატოვება...

ორი ქვეყნის პრეზიდენტების მოლაპარაკება 8 ივლისს უნდა დაიბარდეს. ამ დროისთვის განადინობული სწავლება ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ორი დღის დამთავრებული იქნება, საშხრეო შენაერთები მუდმივად დელიკატის ავტელებზე დაბრუნებას ვერც მოასწრებენ და ჯერ კიდევ საქართველოს ჩრდილოეთ საბღვრთან იქნებიან ოკუპირებული.

თუკი მოსკოვში შეხვედრაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ რუს კოლეგას კატეგორიულად არ დაუქნია საქართველოს უსაფრთხოების საკითხი, არ არის გამორიცხული გასულ წლის ავისტოს მიუღენების გამეორება.

ირაკლი ალადაშვილი

შეჯიბრება სნაიპერებს შორის

კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის პოლიგონზე ორი დღის განმავლობაში შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ელიტური სნაიპერები ერთმანეთს სპორტული ტურნირის ფარგლებში ეჯიბრებოდნენ. გამარჯვებული სპეციალური ჯელდითი დაჯილდოეს.

შეიარაღებულ ძალებში ბოლო დროს სპორტული ღონისძიებები გახშირდა, რომლებიც სპორტულ-გამაჯანსაღებელმა სამსახურმა დაგეგმა. მათ შორის იყო ფეხბურთის ჩემპიონატი, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. ამას მოჰყვა ტურნირი კრიემი, ძიუდოში, ხრიდოლში და ა. შ.

ქართველი ჯარისკაცები თითქმის ყოველთვიურად ეჯიბრებიან ერთმანეთს სხვადასხვა სახეობაში. სპორტის რამდენიმე სახეობაში გამარჯვებულებს შესაძლებლობა ეძლევათ საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზონ.

კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის პოლიგონზე ყოველწლიურად და ამჟამინდელად სპორტული შეჯიბრება სნაიპერებს შორის. შეიარაღებული ძალების სნაიპერები, რომელთა პრივესია ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ელიტურად ითვლება, სპორტულ მართონიშო ჩაერთვნენ, სულ 15 წევრი. ყველა ქვეით ბრიგადის თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. ტურნირი სამ ეტაპად ჩატარდა და წესები საკმაოდ შკაციო იყო.

ტურნირის პირველ დღეს სნაიპერებმა სამტატო იარაღი გაასწორეს და მიირიგეს. შემდეგ რამდენიმე საკონტროლო გასროლა გააკეთეს და მოუწადინეს მთავარი დღისათვის, როდესაც შეჯიბრების მთავარი ეტაპი უნდა დაწყებულიყო.



მთვე ეტაპზე ამოცანა ასეთი იყო: სნაიპერებს სროლა სტატიკური პოზიციიდან უნდა წარმოებინათ პირველად მანძილი 100 მეტრით განისაზღვრა. 5 გასროლიდან ყველა ჯგუფმა მიზანი თანბარი სისუსტით დააზიანა. შემდეგ ამოცანა ონდევ გაართულდა, — სამიხნემ 200 მეტრზე გადაინაცვლა. თანდათან სიმძრე მაქსიმალურ სამიხნე მანძილამდე გაიზარდა. სნაიპერებმა აქ სხვადასხვა მანქნებელი დააფიქსირეს. მსროლეთა ქულები ჯამდებოდა. მიზანში მოხვედრილი ერთი ტყვია ერთი ქულის ეკვივალენტი იყო. მოძღვნი დღეს სნაიპერების ამოცანა კიდევ უფრო გართულდა. თითო წველის დაახლოებით 1600 მეტრი უნდა გაერბინა და სამიხნისთვის

ესროლა, შემდეგ სასწრაფოდ დაეტოვებინა ის ადგილი და განსაზღვრული მანძილის გავლის შემდეგ კვლავ სამიხნე დაეზიანებინა. ეს იყო ე.წ. გადამტვირთვის შემდეგ სროლა, როდესაც ჯარისკაცები დროითაც მუხლულები იყვნენ; ანუ იმარჯვებდა ის წველი, ვინც მაქსიმალურად მიკვლევს დროში გადალახვად მანძილს და მიზანსაც ზუსტად ესროდა.

ტურნირი ამ უროლეში ამოცანის შესრულებით დასრულდა. ქულები დაჯამდა და გამარჯვებული გამოვლინდა (სნაიპერების საქმის სპეციეიკიდან გამომდინარე, წველის ვინაობას არ დაეახელებო). ქართველმა მსროლეთებმა თავისი პროფეისიონალიზმი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს.

ტურნირის ორგანიზატორთა განცხადებით, სპორტული ღონისძიებები მომავალშიც ჩატარდება. გარდა წმინდა სპორტული ტურნირებისა, როგორცაა ფეხბურთი, სამხედრო შეჯიბრებებიც გაიმართება. მაგალითად, მალე სამხედროები ავტომატური კარაბინი M4-ის სროლაში შეჯიბრებიან ერთმანეთს, იგეგმება პისტოლეტის სროლაში შეჯიბრება და სამხედრო მარშები, სირბილი და წინააღმდეგობების გადალახვა.

სპორტული ღონისძიებები სამხედროების საბრძოლო მომზადებას საინტერესო ხდის და ჯარისკაცების მუდმივი მზადყოფნისთვის აუცილებელია.

გიორგი თუხარაძე
ტელეკომპანია „საქართველო“
სპეციალურად „არსენალისთვის“



ყველაფერი მტრის ტანკის ასაფეთქებლად

2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართული ომის შემდეგ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ახალი ტიპის გამოცდილების შექმნა დაიწყო. მასშტაბური საარტილერიო სწავლებებისა და სხვა ტიპის წვრთნების შემდეგ პოლიციონებზე სამხედროებმა ტანკსაწინააღმდეგო ტაქტიკით დაიწყეს გადამზადება.

„მინისტრის ხელა 2009-ს“ მიხედვით თავდაცვის სფეროს ერთ-ერთ პრიორიტეტს ტანკსაწინააღმდეგო კუთხით სამხედროების კვალიფიკაციის გაზრდა და ამისათვის შეტი ქმედით ღონისძიებების გატარება წარმოადგენს. დაახლოებით ორი თვის წინ პირველად ქართული არმიის ისტორიაში ცალკეული ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონი შეიქმნა. შექმნის დღიდანვე მეთაურობამ ბატალიონის დაკომპლექტება და პროფესიული მომზადება დაიწყო. სხვადასხვა ტიპის წვრთნებთან ერთად ბატალიონის ღონის სწავლებებიც დაიკვამა. სწავლებების ძირითადი ნაწილი ორფოლოს სამხედრო პოლიციონზე მიმდინარეობდა, დასკებით ეტაჟზე კი საწვრთნებელი წვრთნაც დაიკვამა, რომელსაც თავდაცვის მინისტრი ღაფთ სიხარულიძე, გაერთიანებული შტაბის უფროსი დეი ჰანკოტაძე და სხვა მაღალი რანგის სამხედრო მოხამსახურეები დაესწრნენ.

„არსენალის“ მკითხველს კარგად ემახსოვრება ინფორმაცია სხვადასხვა



ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა „ფაგოტის“ სტირტი

პოლიციონზე გამართული ტანკსაწინააღმდეგო დანაყოფების წვრთნების შესახებ. მათ შორის კრწანისში დაზვის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარამტორცნელებისა და ორფოლოში გამართული მასშტაბური სწავლებები. ეს ყველაფერი სხვადასხვა ქვეითი ბრიგადების ტანკსაწინააღმდეგო დანაყოფების მონაწილეობით ჩატარდა. თავდაცვის მინისტრის თქმით, შემუშავებულია ქვედანაყოფების მომზადების პროგრამა ტანკსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის და პროგრამა გაგრძელდება. რაც შეეხება ცალკეული ბატალიონის ჩამოყალი-

ბუბასა და ამ დღის წვრთნის დაგეგმვის, ეს უპრეცედენტო მოვლენაა ქართული არმიის ისტორიაში. ცნობილია, რომ შიდა ქართლში რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს ანექსიისათვის დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკის მოხილებაც მოახერხეს. სწორედ ეს გამოცდილება გახდა მიზეზი ქართული არმიის მომდინარე სასიკეთო ცვლილებებისა.

ორფოლოში გამართულ საწვრთნებელ სწავლებას მასშტაბის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. სამხედროები გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. საბრძოლო ლეკენდის მიხედვით, სამხედროების კონტროლირებად ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო დანაყოფი შემოჭრას ცდლობს, ამ დროს ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონის შესანგრეები ხიდს აფეთქებენ, რომ მოწინააღმდეგის შემოჭრა შეაფერზონ, დრო მოიგონ და სხვადასხვა ტიპის შეიარაღებამ საბრძოლო პოზიციები დაიკაოს. სწავლებას გათავისმსწრეული იყო მტრის სადაზურკო დანაყოფის წინააღმდეგ მოქმედება. მოწინააღმდეგის მხვერვაებს ცეცხლი ყუმბარამტორცნელებმა და მტრეცემურეკეცემა გაუხსნეს. ამ შემთხვევაში მიზანი დახლოებით 200-300 მეტრში იყო. სადაზურკო დანაყოფის აღწინიანი ნიშნულები ცალკეული ბატალიონის ჯარისკაცებმა დროის უმოკლეს პერიოდში გაანადგურეს. რეალურ სიტუაციაში თუკი მოწინააღმდეგემ მაინც



ახლად შექმნილი ცალკეული ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონის მებრძოლები მოზიციებზე გადაიან



ქართული ტანკები
კონტრიერშივე გადავიდნენ...

30 ტაის მისაბმელიანი ჰაუბიცები, რომლებიც ჩაწერტებულ ცეცხლს აწარმოებდნენ და ამით საშუალება მისცეს MT-12 ტანკსწინააღმდეგო ქვეშეების ოცეულს პოზიციებზე უსწრაფესად განლაგებულებენ და პირდაპირი დამოზნებით გაუსნაით ცეცხლი. D-30-ების შემდეგ MT-12-ებმა ვეულა სხვა სამიხნე მიკლე დროში მისაში განიღლ ღრმულეზად აქციეს.

სწულეზამ კიდე იძით მიიბერო უზრადლეზა, რომ თავდაცვიით ცეცხლი ამით არ შეწყვეტილა. თუკი ამ გამანადგურებელი დარტემის შემდეგ მოწინააღმდეგის გადარჩენილმა ნაწილებმა უკან არ დაიხიეს, სხვა ზომების მიღეზა ხდეზა აუცილებელი. სწულეზაში T-72 ტაის ტანკები ერთიეზიან. ტანკები ტაქტიკური წვობით მოწინააღმდეგის მიმართულეზით იწვეზენ სელას და შეუწერეზლად ისერი-

მოასწრო მიხელა გამაგრებულ პოზიციებთან, საჭირო ხდეზა გაძლიერებული წინააღმდეგეზა. საწყენებულ სწულეზაში სინქრონულად ჩაერთენენ „ფაგოტის“ სპეციალისტებიც. რაკეტა „ფაგოტი“ მართეზადა, შესაბამისად, მისი დამოზნეზა და მართეზაც სპეციფიკურიეზა. სამხედროეზა ვეულა გასწრეზა მისაში მოახეედრეს. სხვადასხევა მანიღლზე მღებარე სამიხნეები ერთმანეთის მიეოლებით ფეოქდეზოდა. „ფაგოტის“ სპეციალისტებმა დაკისრებულ ამოცანას წარმატებით გაართეეს თავი, რეალურ ვითარეზაში, როცა მოწინააღმდეგის ძალები უფრო მასშტაბურიეზა, საჭირო ხდეზა დამსპარე ცეცხლი, რომ შემოტრა შეუწერხეს. სწულეზაში ერთეზა D-



პირიბითი მონინააღმდეგის
„ტანკები“ აფიოქებულიე



თავდაცვის მინისტრი
სწავლებლები კმაყოფილი
დარჩა...

ან. სწულეზა წარმატებით დასრულდა. ტანკსწინააღმდეგო კუთხით სამხედროების კვალიფიკაციის გაზრდა, ცალკეული დანაყოფის ჩამოყალიბეზა, რომლის მისია მოწინააღმდეგის ჯეშანტექნიკის შეწერეზაა, დიდ როლს შეასრულეზს ქართული არმიის ბრძოლისწინარაიბის აძაღლეზაში. საქართველოს რელიეფის თავისებურეზადან გამომდინარე, ასეთი დანაყოფების ბრძოლისწინარაიბა უფრო იზრდეზა და მოწინააღმდეგის ჯეშანტექნიკისთვის ეფექტიანი წინააღმდეგეზის გეწევა შეუძლეზა.

გიორგი თუხარაღი
ტელეკომუნიკაციების „საქართველო“
„არსენალისათვის“
ორგოლოუს პოლიგონიდან

Paris Air Show

2009

ამა თვის 15 ივნისს, საფრანგეთში, პარიზის მახლობლად მდებარე აეროდრომ ლე-ბურჟეზე, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი, რვათი 48-ე საერთაშორისო აეროკოსმოსური გამოფენა გაიხსნა. გამოფენა დასაბამს 1908 წლიდან იღებს, როდესაც გრან-პალასში საავტომობილო გამოფენის ორგანიზატორ პუსტუე რიჟის ანალოგიური გამოფენის ჩატარების იდეა გაუჩნდა, ოღონდ ავტომობილების ნაცვლად მასზე აეროპლანები უნდა წარმოდგენილიყვნენ. რიჟის იდეამ დიდი მძინარე დაიშასურა და ერთი წლის შემდეგ, 1909 წლის სექტემბერში, პირველი ავიაგამოფენა ჩატარდა. მასში 380 კომპანია მონაწილეობდა, რომელიც იმ დროისთვის საუკეთესო აეროსტატები, თვითმფრინავები და ძრავები წარმოადგინეს. ამჟამად წლებიდან ავიასალონი საიუბილეოა, — მას 100 წელი შეუსრულდა.

თანდთან გამოფენამ საზოგადოების ყურადღება მიიქცია და 1929 წლიდან რეგულარულად აღტარებენ. გამოფენა მხოლოდ ორჯერ — პირველი და მეორე მსოფლიო ომების გამო ჩაიშალა. 1951 წლიდან გამოფენა პარიზის მახლობლად მდებარე ლე-ბურჟეს აეროდრომზე გადაიტანეს. 60-იანი წლებიდან გამოფენამ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა და სამოქალაქო და ნაწილობრივ სამხედრო-საავიაციო ტექნიკის მწარმოებლების შეკვდრის მთავარ ადგილად იქცა.

ორგანიზატორები შეცადნენ, წლებიდანლი საიუბილეო სალონი მასშტაბური ყოფილიყო, — გამოფენაზე მსოფლიოს რამდენიმე ათეული ქვეყნიდან მოწვეული სხვადასხვა სახისა და ტიპის 140 საფრენი აპარატი იყო წარმოდგენილი. აეროდ-

იტებული იყო ორასზე მეტი ოციცალდური ფლეგატა. ყველაზე დიდი ექსპონაცია სალონის მასპინძელ საფრანგეთს ქონდა — 41,2%, მეორე ადგილზე აშშ-ა — 21%, მესამეზე კი გერმანია — 11,3%.

სალონი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფონმა გახსნა. სალონი ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა. პირველი ოთხი დღე სპეციალისტებისთვისა და ავიანარმის მფიდველი პოტენციური თუ რეალური კლიენტებისთვის იყო განკუთვნილი, სამი დღის განმავლობაში კი სალონის დათვალაიერება ყველას შეეძლო. ტრადიციისამებრ, გამოფენის საპაერო ნაწილი საფრანგეთის სამხედრო-საპაერო ძალების საალოტეო ჯგუფმა Patrouille de France-მ გახსნა, რომელმაც ოციცალდური სტუმრების თაზე დაბალ სიმაღლეზე გადაფრინა და საფრანგეთის სახელმწიფო დროშის ფერების მსგავს ბოლს უშუქდა. გამოფენის ორგანიზატორებმა კატეგორიულად უარყვეს გავრცელებული ინ-

ფორმაცია რუსული MAK-ისა და ფრანგული სალონის გაერთიანების შესახებ.


როგორც წესი, პარიზის ავიაგამოფენაზე აქცენტია, ძირითადად, სამოქალაქო პროდუქციანზე კეთდება, გამოხალისი არც წლებადლი სალონი იყო. აქ ნახვდიო მასპინძელი ქვეყნის ავიკომპანია Air France-ს სამგზაერო Boeing 747-სა და სატვირთო A-330-ს. ბგერი თვითმფრინავი მსოფლიოს სხვადასხვა ავიაკომპანიას ჰყვავდა წარმოდგენილი. სამოქალაქო ავიაციის სფეროში გამოფენის მთავარ სიახლეს რუსული სამგზაერო თვითმფრინავი Sukhoi Superjet-100 წარმოდგენდა. თვითმფრინავი ორ ვარიანტად არის შექმნილი — 75 და 95 მგზავრზე კავთვლილი სალონებით ლე-ბურჟეში სწორედ ეს უკანასკნელი იყო წარმოდგენილი. ეს თვითმფრინავი სუხოის სახელობის საკონსტრუქტორი ბუეროს შულობილი კომპანია Гражданские самолёты Сухого-ს ქმნილებაა და მასზე მუშაობა 2000 წელს დაიწყო.

პარიზის წლებიდანლი ავიასალონი სუხოის ფირმისთვის ძალზე წარმატებით ჩაიარა — საშმა ავიაკომპანიაში 70 Superjet-100 შეიძინა





უბილოტო აპარატებში, ნლევანდელ საილონზე განსაკუთრებული მონონება ავსტრიულმა უბილოტო შვეულმფრენმა Camcopter-მა დაიმსახურა



ფრანგული Dassault-ის ახალი ბიზნესკლასის თვითმფრინავი Falcon 7X

ნანაფრის თანხმად, ამ თვითმფრინავს მაგისტრალურ და რეგიონულ რუსებზე მოძველებული საბჭოთა თვითმფრინავები უნდა შეეცვალა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დამღის შემდეგ ეს პირველი რუსული სამგზავრო თვითმფრინავია, ამახთან, Superjet-100 პირველად რუსულ პრაქტიკაში, „ინტერნაციონალურ“ პროექტმა რიცხვს მიუკუთვნება, რადგან თვითმფრინავის პლანების გარდა, სხვა ფედაურის შექმნაში სხვადასხვა პროექტის მსოფლიოს 16 კომპანია მონაწილეობდა. მათ შორის ამერიკული Boeing-იც, რომელიც სერტიფიცირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხებში რუსული ფირმის მთავარი კონსულტანტია იყო. თვითმფრინავის ძრავები ფრანგული Snecma-სა და რუსული Сатurn-ის ერთობლივი ქსილებაა.

თვითმფრინავი პირველად 2008 წლის 19 მაისს აფრინდა, მანამდე კი სუხოის ფრმას სხვადასხვა ავიაკომპანიების უკვე 52 თვითმფრინავზე ქონდა შეყვითა.

Superjet-95-ის ვარიანტში თვითმფრინავის სიგრძე 29,943-ს, ფრთის გაქანს — 27,8მ-ს, სიმაღლე კი 10,28მ-ს შეადგენს. 42520 კგ-ის ტოლი მაქსიმალური ასაფრენი მასით და 930 კმ/სთ-იანი კრეისერული სიჩქარით ფრენის მანძილი 4420 კმ-ს შეადგენს. თვითმფრინავის ექსპლუატაცია წელს ივკუმება და პირველი ავიაკომპანია, რომელიც Superjet-ს მიიღებს, სომხური Armavia იქნება.

გამოფენაზე, ამჯერად მცირე მასშტაბური მაკეტის სახით, წარმოდგენილი იყო კიდევ ერთი რუსული სამგზავრო თვითმფრინავი — კორპორაცია ირკუტ-ის მაგისტრალული MC-21. წლევანდელ ავიასალონზე Superjet-ი ერთადერთი რუსული თვითმფრინავი იყო, სხვები კი პავლიონებში, მწარმოებელი კომპანიების სტენდებზე მცირემაშტაბური მაკეტების სახით იყვნენ წარმოდგენილი. მათ შორის გამანადგურებლები МиГ-29СМТ, Су-35, МиГ-35 და შვეულმფრენები Ка-52 და Ми-28Н.

Superjet-ის ფართო პრეზენტაციის მიუხედავად, სამოქალაქო თვითმფრინავებს შორის პოპულარობით მაინც გაიგანტო A-380 სარგებლობდა, რომელიც ყოველდღე თითო სადემონსტრაციო ფრენას ასრულებდა. კონკრეტულ Airbus-მა გამოფენაზე A320, A321, A330 და A340-300-ც წარმოადგინა. დამოუკიდებელი ამ კომპანიის ახალ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ A-400M-იც ყლიონენ, მაგრამ იმედი გაუცურებდა.

დამოუკიდებელი არც ბიზნესკლასის თვითმფრინავებს აკლდა. ფრანგული Dassault-მა ერთდროულად სამი ასეთი კლასის თვითმფრინავი წარმოადგინა: Falcon 2000LK, Falcon 7X და Falcon 900EX, კანადურმა Bombardier-მა კი ბიზნესკლასის სახით Challenger 850.

საკმაოდ დიდი ექსპოზიცია შეუქმნა

ფრენებს ქონდა დათმობილი. ექსპონატთა რაოდენობით ევროპული კონკრეტული Eurocopter-ი გამოსჩნეოდა, რომელმაც AS565 MB, EC135, EC145, EC175, EC225 COUGAR და დამრტყმელი Tigre წარმოადგინა. ეს უკანასკნელი საწვინებელი პროგრამის ფარგლებში დაბალ სიმაღლეზე თვებრუნადი მანქანებს ასრულებდა.

გამოფენაზე მრავლად იყო სამხედრო ტექნიკაც. მასპინძელმა ქვეყანამ სხვადასხვა მოდიფიკაციის Mirage 2000 და საეკმპანო Rafale წარმოადგინა, მათ გვერდზე კი ამაყად იდგა ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების EF-2000. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სატრანსპორტო HC-130, C-130J და C-17, გამანადგურებლები F-15 Strike Eagle და F-16C, საეკმპანო F/A-18F და შვეულმფრენი HH-60G PAVEHAWK-ი წარმოადგინეს (ეს უკანასკნელი პაერში საწვავის დამართვის სისტემით არის აღჭურვილი). გამოფენის სტუმრებს ამერიკული მჭყოთი თათბის გამანადგურებელ F-22 Raptor-ის ნახვაც სურდათ, მაგრამ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გადაწყვიტეს, წლევანდელ გამოფენაზე არ გამოეყენათ, რაც გამანადგურებლის მიმდინარე გამოცდილი და თავისუფალი მანქანის უპირატესობით ახსნეს. თუმცა გვერდულად ცნობა, რომ სინამდვილეში ამერიკელები ახალი თათბის ფრანგულ



იტალიური მრავალმიზნობრივი Augusta AB-139

რადიოლოკაციურ სადგურებს უფრო ხან, რომელთა საშუალებითაც გამოფენის საფრენის პროგრამაში მონაწილე თვითმფრინავებს აკვირდებიან.

ბოლო ათი წლის განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, გამოფენის უცვლელი სტუმრები უპილოტო საფრენი აპარატებია. ყველაზე დიდი ექსპოზიცია ებრაულ ფირმა IAI-ს ჰქონდა, ის ახლა ამ სფეროს ერთ-ერთი დიდურია.

გამოფენის ორგანიზატორებთან თანამედროვე თვითმფრინავებთან ერთად რეტროავიაციაც წარმოადგენს, — 32 თვითმფრინავი, რომლებიც კერძო კოლექციონერების საკუთრებაა. გამოფენაზე ნახვდითი მჭირე მსოფლიო ომის დროინდელ ამერიკულ გამანადგურებელ P-51 Mustang-ს, ბომბდამშენ B-25 Mitchell-სა და B-17 Flying Fortress-ს, მერინავ ნავს Catalina-ს, გერმანულ სატრანსპორტო Ju-52-ს, ბრიტანულ გამანადგურებელ Spitfire-ს, საბჭოთა რკ-3-ს, ასევე F-86 Saber-სა და DH-100 Vampire-ს ტიპის რეაქტიულ გამანადგურებლებსაც.

რაც შეეხება გაყიდვებსა და საღონზე

დადებულ კონტრაქტებს, როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ზეგავლენა აუცილებლად მოახდინა. პირველი დიდი კონტრაქტი გამოფენის პირველ დღეს დაიღო — რუსულმა ავიაკომპანია ატლანტ-სოიუზ-მა 30 უკრაინული An-148 და 15 რუსული Tu-204CM-ი იყიდა. გარიგების ღირებულება 1,25-1,35 მლრდ დოლარს შეადგენს. კონტრაქტების ოდენობითა და საერთო ღირებულებით გაცილებით საინტერესო სალონის მჭირე დღე იყო. ავიაკომპანია Qatar Airways-მა კონკრეტულ Airbus-თან 1,8-მილიარდდოლარაანი კონტრაქტი გააფორმა 20 A-320-ისა და 4 A-321-ის შესყიდვაზე. 16 თვის სუხობის ფირმისთვის იტალიური გამოდგა: რუსულმა ავიალიზინგ-მა 715 მილიონ დოლარად 30 Superjet-ი შეიძინა. იმავე დღეს არაბთა გაერთიანებული საამიროების ავიაკომპანია Etihad Airways-მა Engine Alliance-სა და Rolls Royce-თან ახალი ძრავების შესყიდვაზე 14-მილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა. დღის ბოლოს ესპანურმა Air Nostrum-მა ათი რეგიონული ტურბოპროპანის

ATR-72, ფილიპინურმა Cebu Pacific-მა კი 5 A-320 შეიძინა. აზიურმა ავიაკომპანია Air Asia-მა 10 A-350, ვიეტნამურმა Vietnam Airlines-მა კი 16 A-321 შეუკვეთს.

17 თვის უნგრულმა ავიაკომპანია Malev-მა 30 Superjet-ი შეიძინა. კონტრაქტის ღირებულებამ თითქმის ერთ მილიარდი დოლარი შეადგინა. გამოფენის კატალოგის მიხედვით ერთი Superjet-ის ფასი 30 მილიონ დოლარია. ხელშეკრულების თანახმად, უნგრული მხარე პირველ თვითმფრინავებს 2011 წელს მიიღებს (სხვათა შორის, Malev-ის აქციების 49% რუსულ სახელმწიფო კორპორაცია „რუსშეკონომბანკ“ ეკუთვნის). იმავე დღეს კიდევ 10 რუსული თვითმფრინავი ავიაკომპანია Gazprom-ავიამ შეიძინა, ნიგერულმა Afrijet Airlines-მა 80 მილიონზე ოთხი ATR-72-500, Zest Airways-მა კი ერთი A-320.

18 თვის კიდევ ერთმა უნგრულმა ავიაკომპანია Wizz Air-მა Airbus-თან 3.8-მილიარდდოლარაანი კონტრაქტი გააფორმა 50 A-320-ის შესყიდვაზე. შედეგის თვითმფრინავები 2014-16 წლებში გადაეცემა.

ბოლო შეკვეთა 19 თვის ინდურმა Paramount Airways-მა 10 A-321-ის შეტანაზე გააფორმა. კონტრაქტის ღირებულებამ 900 მილიონი დოლარი შეადგინა.

გამოფენის მასშტაბურობისა და სარეკლამო კამპანიების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო წლებანდელმა ავიასალონმა დადებული კონტრაქტების საერთო ღირებულების მიხედვით ვერ შეძლო წინა, 2007 წლის გამოფენის დანრიდღვა — მასშინ კონტრაქტების საერთო ღირებულებამ 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ავიასალონი 21 თვის დაიხურა.

თიემურ პულუზაშვილი

პირველი ოთხი დღის განმავლობაში სალონს 140 ათასი სპეცილისტი ესტუმრა, რაც წინა გამოფენასთან შედარებით მხოლოდ 10 ათასით ნაკლებია. რაც შეეხება სალონის ღირებულებას, მასზე მყოფი ხალხის რაოდენობამ 360 ათასს გადააჭარბა.



სარეზერვო სტრატეგიის ახალი რეალიზაცია

რამდენიმე თვეა სამხედრო-სარეზერვო სამსახურის ბედი გაურკვეველია. როგორც იცით, სარეზერვო გაწვევა შეწყვეტილი იყო, ეს კი ავეისტოს იმის შედეგად რეზერვის სისტემის მოშლისა და კანონის ვარდაულები ფორმირების გამო მოხდა. რამდენიმე დღის წინ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე ფიცილი პარლამენტარი **ზურაბ არსოშვილი** დაინიშნა. ახალი კანონის პრეზენტაცია მომავალ თვეში შედგება. ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი და სარეზერვო სამსახური მთლიანად იცვლის სახეს.

— ბატონო ზურაბ, ჩაიბარეთ უწყება, რომელიც ავეისტოს იმის შემდეგ გველზე მძიმე მდგომარეობაშია, თქვენ არ ხართ სამხედრო პირი, რატომ შეერდა არჩევანი თქვენზე? განსაკუთრებული კონცეფცია შესთავაზეთ ხელმძღვანელობას?

— ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა უკვე სამოქალაქო თანამდებობაა და ჩემი დანიშნვა პრობლემას არ წარმოადგენდა. ამ უწყებას დღეს კარგი მენეჯმენტი სჭირდება. იმის შემდეგ სამხედრო რეზერვო ძაბოლჯ უსრულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ შეცდომების გათვალისწინება დაჩმაბრება სტრუქტურის რეორგანიზაციას და აღდგენას. რაც შეეხება კონცეფციას, მაქვს ჩემი ხედა და გვერები, რომელიც ჩვენი უცხოელი მეგობრების, NATO-ს წევრი ქვეყნების რეკომენდაციებს ეყრდნობა. მუშაობდა ახალი კანონი, რომლის კონცეფციის პრეზენტაციასაც დაახლოებით ერთ თვეში შემოთავაზებთ (ინტერვიუ ჩატრეუბა 16 ივნისი. — ავტ.). ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი მთლიანად იცვლის სახეს. ცვლილებები შეეხება როგორც სტრუქტურას და დებულებას, ასევე კადრებს. ვიცვლით შენიშვნასაც.

— როგორც გვითვით, რეზერვო იქნება როგორც საუბედოლო, ასევე ნებაყოფლობითი. აქცენტი რომელზე გამახვილდება?

— იმ ფორმზე, რომელიც უფრო გამართლებს, ჩვენ მაქსიმალურად ცვლილობით, დავაქმიანებთ ის მოთხოვნები და ამოცანები, რაც ჩვენ წინაშეა. კონსტიტუციაში წერია, რომ თითოეული ჩვენიანის ვალაა ქვეყნის დაცვა. თუ როგორ უნდა დავიცვათ, ამას ჩვენ ჩვენ ვასწავლით თუ ნებაყოფლობითი სახის რეზერვო მოვცევს კარგ შედეგს, არ გამოვიცხავ, რომ მთლიანად

რა ელის რეზერვს?

ნებაყოფლობით სარეზერვო სამსახურზე გადავიდეთ, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია, ველოდვართ დრო გვიჩვენებს. რეზერვის ის ფორმა, რომელზეც ვუჭობით, საკმაოდ ეფექტურია. რეზერვული პირებს ექნებათ განსაზღვრული პროცენტები საზოგადოებაში.

— რეზერვში მიღების კრიტერიუმები გათვალისწინებულია?

— დიახ. რეზერვში მხოლოდ ვარგებული პირები მიხვდებიან, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 27 წელი. ზედა ზღვარზე, ჯერჯერობით, ემსჯელებით რეზერვისტი იქნება ჩამოყალიბებული მიქალაქი, რომელიც გააზრებულია გადადგმა ამ ნაბიჯს. არ ვაბიბოთ დრო, ფული და ენერჯია დეზხარჯით იმზე, რომ მათ სამხედრო საქმის სიყვარული, დისციპლინა, იარაღის დამლა-აწეობა და სრლა ვისწავლით. დაზოიილი დრო და ფული გვიჩინება მისი ძირითადი სამოქალაქო პრობლემის ჯართან ადამტაციას მოვახმარი.

— როგორ იქნება სარეზერვო პირებში?

— პროცენტმა 5-წლიან იქნება. პირველ წელს პროცენტმა 45-დღიან სწავლებას ითვალისწინებს, მორე წელსაც, სავარაუდოდ, ამდენი. მომდევნო წლებში დღეები დასრულდება შემცირდება. რეზერვისტებს გავწევთ სჭირნურად, თუ პირველ წელს ერთი ნაწილს ზაფხულში მოუწევს გაწვევა, მორე წელს ზამთარში წავყენათ, რომ ვეღლანაირ კლიმატურ პირობებში ბრძოლისათვის იყენენ მომზადებული.

— რა იქნება 5 წლის შემდეგ?

— თვისი საკეიალიბობითა და კონკრეტული მიმართულებით სარეზერვო სამსახურის გავლის შემდეგ რეზერვისტი იქნება აღრიცხვზე და სავანგებო შემთხვევებში გამოეხატება.

— რა ბედი ელით იმ რეზერვისტებს, რომლებმაც ერთხელ ან ორჯერ უკვე გაართეს სარეზერვო შეკრება 2006 წლის კანონის შესაბამისად?

— როგორც ვითხარბია, ახალი კანონი დამუშავების პროცესშია და ამ კონტრენტის საკითხი ჯერ არ გადავცევიწყებთ.

— პირველი გაწვევის კოტა რამდენია?

— კონკრეტული ციფრის დასახელება მიჭირს, რადგან კანონი ბოლომდე დამუშავებული არ არის. სავარაუდოდ იქნება წინა გაწვევებზე გაცილებით ნაკლები და ხარისხზე ორიენტირებული. სავარაუდოდ, 2000-2500 კაცს გავწევთ.

— სად განთავსდება რეზერვისტთა ბაზები?



— 5 ბაზის ნაცვლად 2 ბაზაზე შექმნებით. დაეული იქნება ტერიტორიული პრინციპი. ბაზები იქნება ადმოსავლი და დასავლეთ საქართველოში, თელავსა და სენაკში. სარეზერვო და მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიდინარბობს.

— საქართველოს მასწავლებლებში 2 ბაზა ცოტა არ არის? როგორ შეძლებთ რეზერვისტთა გაკონტროლებას?

— ვაბიბოთ წარმომადგენლობების შექმნას რეგიონებში, რომლებსაც რეზერვის ადრციბა და გაკონტროლება დავყალბა.

— აქამდე რეზერვისტები მზადდებოდნენ როგორც მსუბუქე ქვეითი, ახლა რა მიმართულებებისთვის მოამზადებთ?

— შევასრულებთ როგორც არმიის, ასევე გვარდიის რეზერვის ფუნქციასაც, სხადც იქნება ვეღლა ძირითადი მიმართულება. დეტალურად შევიწყოვლით თითოეული რეზერვისტის საქმეს. გვეცდინება პროცესების, საცხერეებო ადგლისა და მომზადების დონის მიხედვით, ვინ სად და რა მიმართულებაზე გადავანაილით.

მაღლიან მნიშვნელოვნია ისიც, რომ ეროვნული გვარდიის ქვეყნის სამსახურში სხვა მიმართულებითაც ჩაებება. ეს არის ერთგვარი სამსჯელო სამსახური, კატეგორიზაციის, წყადილობის, მისწინებების, დიდულობის, სავანგებო სიტუაციების შემთხვევაში ჩვენი რეზერვო მზად იქნება დასახმარებლად. ეს ამერიკის ეროვნული გვარდიის მიდელიდან ავიდეთ, რომელმაც ძალანა გაამართლა.

ასევე, თვადიცის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფით პროექტთან თვადიცის შესწავლას და სპეციალურ სკოლებში, ინსტრუქტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში...

— NATO-ს წევრობით თუ შეეება?

რეზერვისტებს?

— რა თქმა უნდა, ჩვენს დანაშაულები მიიღებენ მონაწილეობას NATO-ს წევრ-ნებსში. ვაქცხვ გვგმა, რომლის მსხვედრითაც რეზერვისტები რეკულარულ არმიასთან ერთადაც გაივლიან მომზადებას.

— რეზერვისტი ხომ მომზადების დროს და ფიზიკური ამტანობით არ არის სრულყოფილი ვარისსკაცი, რამდენად გაუტლებენ ისინი GTP-ის საკმაოდ როულ წევრებს?

— ის კატეგორია, რომელსაც ჩვენ გვი-წვევთ დაღლებ ამ პროგრამას. ერთეულ-ეუ გვარდა არ აძირებს რეზერვში ბავ-ყვების წევრებს. რეზერვისტები გაივლიან იდილოლოგიურ წერთასაც.

— ნათლია, რომ აგვისტოს იმში ვე-ღაშე რუსეთს რელი სწორედ რეზერვისტ-თა ნაწილები აღმოწნდა. დღეს როგორც პასუხისმგებელ პირს, რა შედეგითა იქ-ვათ 2006 წლის კანონზე „საოცხერეო სამ-სახურის შესახებ“?

— ხარეუბებზე ღაბარაკო არ მინდა, ისედაც ვეღაღ ივის. ერთ ვიტყვი: დიდი შედეგით იქნა დამუშეული მართვსა და კონტროლში. ჩემი აზრით ვეღაშე დიდი პრობლემა სწორედ რაღდწობა იყო. ახლა მართვის გაცილებით ეფექტიანად პროგრ-ამა გავტესტე შემუშავებული. ათმეთაურების, ოცმეთაურების, ასმეთაურების და ბატალ-იონების მეთაურების კატეგორი წარმსება ჩვენს დეპარტამენტის მუდმივი მონაწილედი-ნებით იქნება შედარებით მცირერიცხო-ვანი, მაგრამ გაცილებით უკეთ გაწერინ-დი და აღუკურებელი რეზერვი.

— რუსეთ-საქართველოს იმში სულ რამდენი რეზერვისტი დაიღება და თუ გაქვითა მათ ოვაზეებს დახმარება?

— ი რეზერვისტი დაიღება. უკურა-დლებოდ არავინ დაწინებდა. თითოეული დაღუპულის ოვაზეში მთელ და შეტლებს-დავგარდა დავებმარები, იქნება ეს სამსა-ურში მიღება თუ სხვა სახის დახმარება.

— როგორც ვაგივთ, რამდენიმე რე-ზერვისტი დეზერტირობისათვის სახელის იხდის. რამდენად სამართლიანია რამდენ-იმე კაცის დასჯა, როდესაც ვითარება უკო-ნტროლი იყო?

— არიან რეზერვისტები, რომლებიც მართლაც იხდინა სახელს, მაგრამ მათი რაოდენობა და საქმები ჩემთვის უცნო-ბია, ამისათვის შეგომლიათ სამხედრო პოლიციის მძიმართი.

P.S. მუთათავიერების მქონა სასაფლა-ოთთან ახლოს სულ მალე შესაძლია ბა-ტრინი ზურაბის ინიციატივით შექმნილი სამხედრო მუშეუბი გაიხსნას. აქ ქონ-ნოლოგიურად იქნება წარმოდგენილი საუკუნეების განმავლობაში ქართველი არმიის განვითარება, რომელ ეპოქითა რა ეცვა და რით იბრძოდა ქართველი მეთაური, ვინ იყო მისი მტერი.

ენიმი მამუქაძე

ვინ დასერიგოს პრაზილიანში კანსელარიაში:

ჯაშუაები თუ პორვანაები?

(გაგრებლება. დასწყისი იხ. „არსენალი“ №11-12)

სიმონ კილაძის საქმის ჩვენთვის ხე-ღისმსახურდო დეტალების გაცნობის შემ-დეგ შეიძლება დავასკვნათ

ა) კილაძეს არ ჰქონდა შეტება და დამტყა სრულად საიდუმლო დოკუმენ-ტაციასთან, რაც უთოიდ დაინტერესებ-და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურს. რაც შე-ტება მისი დაკავების დროს დასახულებ-ბულ „სტრატეგიულ ინფორმაციას“ პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის, უმაღლესი ობდიეკური თანამდებობის პირთა, ასევე სამთავრობო დელეგაციებ-ის ვიზიტების, ვიზიტებზე განსახილვე-ლი საკითხებისა და გადაწყვეტილებე-ბის შესახებ და ა.შ., როგორც წესი, ორი აქ ქვეყნის დიპლომატები წინასწარ ათანხმებენ და საიდუმლო სულაც არ წარმოადგენს, ხოლო პრეზიდენტის კონ-ფიდენციალური შეხვედრების თაობაზე ინფორმაცია იმდენად გასაიდუმლობო-ვია, რომ საეჭვოა, სიმონ კილაძისთვის გამხდარიყო ცნობილი. ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარების ამსახველი მასა-ლა კი ძალზე ადვილად მოსაპოვებელია და მხოლოდ სულელი გადაიხდის ფულს იმამში, რაც პრესისა და ტელევიზიის სა-შუალებით შეუძლია შეიტყოს;

ბ) გამოძიების მიერ ოფიციალურად გაცხადებულ ოპერატიულ-ავტენტურულ დე მუშაობის კონკრეტულ ფორმებს: „დეკლარაციებს“ ინტერნეტით, ბანკის საკუთრებით ავენტისთვის ფულის გა-დარიცხვას(?), ასევე კილაძის მიერ ინ-ფორმაციის გადაცემის მეთოდებსა და ხერხებს არაუფექტიანობის გამო სპეც-სამსახურებში არ იყვნენ;

გ) საიდუმლო ინფორმაციის მოსა-პოვებლად კილაძეს თანამზრახველები უნდა ჰყოლებდა, რაზეც მისი დაკავების დღეს 2006 წლის 28 მარტს პრეზიდენტ-მა ილაბარაკა, როგორც მაშინ ითქვა, გამოძიებულ მუშაობა იმის დასაგნებლად, თუ ვითარ ჰქონდა კილაძის აჯობანი, მა-გრამ სამი წელი გვიდა და ამ ბრალდებ-ით არავინ დაუკავებიათ.

დ) ჩვენი ინფორმაციით, კილაძის სასამართლო პროცესზე არ წარუდგე-ნიათ აუდიო-ვიდეონაწარეებები, რთაც დადასტურდებოდა კანცელარიის ჩინო-

ვნისის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლები კავშირი და მისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის ფაქტი. რაც შეეხება ელექტრონიული ფოსტით ინფორმაციის მსოვრებას, ნებ-ისმიერ პირს, რომელსაც ელექტრონიუ-ლი ფოსტით მიმწერა აქვს, წერილის ტექსტი ისე შეიძლება შეუცვალო, როგორც გაგისარდება; თუ გულის, ბინ ღაღენდაც აქცევ და ტერაქტების წარტარების „კონკრეტულ“ ვგემბსაც ჩაუწერ. ამას არც საფოსტო კონტრერის ფარულ გახსნა და არც კალიგრაფიის მიმგავსებაზე თავის მტერევა სჭირდებ-ბა;

ე) როგორც ვაგრეკვით, კილაძე დამ-ნამუკედ ორად ორი მტეკიკულემის საუფლებზე ცნეს. პირველი, მისი აღი-არებითი სენებია (ამ საკითხს უფრო დაწერილობით ქვევით დავებრუნდებით იყო, ხოლო მეორე მტეკიკულემა კილაძის კომპიუტერიდან ამოღებული პირადი მიმწერის შეცვლილი ელექტრონიული ვრისა გრებლათ.

უდასამაულობა პრეზუმეციის ნორმებისან გამომდინარე, ზემოღნიშ-ნული არგუმენტები საკმარისი საფუძე-ვლა იმისთვის, რომ განეკუხალით, ბრალდების მხარეს არასაკმარისი მტეკ-იცულებები ჰქონდა სიმონ კილაძის დამ-ნამუკედ ცნობისთვის და ეს „ჯაშუაობის“ საქმე თითოი მათეთაა ნაყრი.

როგორ გროვდება მტეკიკულეები მპირნავის დროს

სანაპირო დაცვის ფუნქციებიდან ამოღებულია შეტყეობის სახის ისეთი ამოცანები, როგორც არის გაერთიანებულ ოპერაციებში საცეცხლე მხარდაჭერის უზრუნველყოფა ან სპეციალური ოპერაციების უზრუნველყოფა მონაწილეობის განლაგების ზონაში არსებულ ობიექტებზე და სხვ. სამხედრო-საზღვაო ძალების მცურავი საშუალებები ტრადიციულად სხვადასხვით დროშის დემონსტრირების მიუხედავად ასრულებდნენ და ახლაც ფუნქცია სანაპირო დაცვის კატარეულ ვადგავდა.

სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერთა და მანქანათა დიდი ნაწილი სამსახურს

სანაპირო დაცვის ძალებში აგრძელებს. დაახლოებით 50-მდე კაცმა სამსახური თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ამჯობინა, ხოლო რამდენიმე კი საზღვაო ქვეითთა ბატალიონში დარჩა.

რუსებს საქართველოს სანაპირო ზოლის ორი მესამედი ოკუპირებული აქვთ და საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსული სამხედრო თუ სასაზღვაო ხომალდების მუდმივი ყოფნის პირობებში საზღვაო საზღვრების დაცვა-გაკონტროლება დიდ ყურადღებასა და მოთმინებას მოითხოვს.

24 მაისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდის რაიონში სოფელ განმუხურთან საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსული კატარადა შეიშოვდა და რამდენიმე წუთი დაყო.

კადრებში კატარადის ილუვიტი „გრიფს“ ჰგავდა, როგორც გაირკვა, ეს იყო აფხაზური კატარადა, რომელიც ამ რაიონში პატრულირების მიზნით რეგულარულად გამოდის.

მიმდინარე წელს აფხაზეთში უკანონო მიმოსვლისათვის სამი გემი დააკავეს. 16 თებერვალს საზღვაო მესაზღვრეებმა თურქული სეინერი **Paia Reis-ი** დააკავეს, ხოლო 6 აპრილს კი თურქული ტანკერი **Densa Demet-ი**, ტანკერის აყვანის ოპერაციაში საპატრულო კატარადა „ქუთაისიც“ მონაწილეობდა.

30 აპრილს სიერა-ლეონეს დროშით მოცურავ თურქული შშრალტერიონშხი და **New Star-ი** დააკავეს მოხერხდა.

ცნობილია აფხაზეთის პორტებში რეგულარული მიმოსვლაში შემწვეული კატარათი და თევზჭერი გემები და,

აღბათ, მალე ამ გემების დაკავების დროც დადგება.

საინტერესო რამ მოხდა მიმდინარე წლის თებერვალში, როცა ქართველმა მესაზღვრეებმა თურქული სეინერის დაკავება ვერ შეძლეს და ინფორმაცია თურქეთის სანაპირო დაცვას გადასცეს. თურქმა მესაზღვრეებმა სეინერი დააკავეს და კაპიტანი სასამართლოს გადასცეს.

არის სირთულეები, ძირითადად, საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო სწავლებებში მონაწილეობის საქმეში, სადაც საქართველოს წინა წლებში სამხედრო-საზღვაო ძალები წარმოდგენდნენ.

საქართველო 2001 წლიდან შვიგზისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ტაქტიკურ ვჯგუფში **BLACKSEAFOR-ში** მონაწილეობს. წელსწინადაც ორი აქტივობაცა ხდებოდა, რომლის დროსაც ხომალდების გაერთიანებული რაზმი მონაცვლეობით სამ-სამი ქვეყნის პორტებში შედის.

რუსი-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობების პირობებში, როცა შვიგზის ფლოტის ხომალდები და კეპიტანები საქართველოს ოკუპაციაში მონაწილეობდნენ, ქართულ პორტებში რუსი სამხედრო მესაზღვრეების გამოჩენა მიუღებელი და უადრესად ამორალური იქნებოდა.

ამ პირობებში მკორე მხარეც აქვს. **BLACKSEAFOR-ი** თურქეთის ინიციატივით შეიქმნა და მას ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები (სარდლისა და შტაბის უფროსის თანამდებობებზე) მონაცვლეობით ხელმძღვანელობენ.

ავგისტოში ვარნაში მორიგი შეხვე-

დრა გაიმართება, სადაც შტაბის უფროსის თანამდებობას საქართველოს წარმომადგენელი დაიკავებს, 2010 წელს კი სარდალი ქართველი უნდა იყოს.

საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აგრჯერობით უცნობაა და საკითხი რომ გადაწყვეტას მოითხოვს, ესეც უადუაო.

რუსეთ-საქართველოს ომმა BLACK-SEAFOR-ის სუსტი მხარეებიც გამოამკარავა. ტაქტიკურმა ვჯუფმა, რომელიც რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოების, მეგობრობისა თუ კეთილშობილურ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეს ემსახურება, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა რეაგირების გარეშე დატოვა.

იმ დღეებში ტაქტიკური ვჯუფის ხომალდებმა საქართველოსა და რუსეთის პორტებში გვემური შეხვლის ნაცე-ლად ბულგარეთისა და რუმინეთის პორტებში შესვლა ამჯობინეს.

ამჟამად სანაპირო დაცვის დეპარტამენტი სამხრეთ ევროპაში NATO-ს გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობასთან (შტაბი ნეაპოლში) ურთიერთგაგების მემორანდუმის შემუშავებაზე მუშაობს. დოკუმენტი ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე ოპერაცია Active Endeavour-ში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მონაწილეობას ითვლისწინებს, კერძოდ, სამხრეთ ევროპაში გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობასა და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტა-



მენტს შორის ინფორმაციის გაცვალასა და ნეაპოლის შტაბში სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შეკავშირე ოფიცის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

NATO-ს მუდმივმოქმედი ოპერაცია Active Endeavour-ი ხმელთაშუა ზღვაში ტარდება და ებრძვის იმ მასალებისა თუ საშუალებების კონტრბანდას, რომლებიც ტერორისტულმა ორგანიზაციებმა შეიძლება მასობრივი ვანადგურების იარაღის შექმნაში გამოიყენონ. ასევე მიმდინარეობს ენერგომატარებლების უსაფრთხო ტრანზიტის ამოცანების დამუშავება.

ოპერაცია Active Endeavour-ი 2001 წლის 26 ნოემბერს დაიწყო, მისი ამოქმედებისთვის 1949 წლის ჩრდილოატ-

ლანტიკური ხელშეკრულების V პუნქტია გამოყენებული. თუ აღინისს რომელიმე წევრს თავს დაესხმებიან, მას სხვა წევრები დაეხმარებიან საზღვაო-საპატრულო ავიაციით, წყალზედა და წყალქვეშა ხომალდებით, სწრაფსვლიანი კატარღებით. ურთიერთმოქმედების საფუძველზე მიმდინარეობს საეჭვო სატრანსპორტო გემების დაკავება-შემოწმება. გემები, რომლებიც ამ პროცედურისაგან თავის არიდებას შეეცდებიან, დანიშნულების პორტში დააკავებენ.

ასეთ მნიშვნელოვან ოპერაციაში ქართველი მუზღვაურების მონაწილეობა ქვეყნის ავტორიტეტის გაზრდასთან ერთად საზღვაო ოფიცერების ცოდნის ამაღლებასაც ხელს შეუწყობს.

თეიმურ ჩაჩანიძე

ზავიზღვისპირა ქვეყნების საზღვაო ძალების სარდლების უხვგვარა 2009 წლის მაისში, ვარნაში



საზღვაო ნაღებები წყალქვეშა მოულოდნელი სფეროში

კორეის ომში
ნაღებებმა
რამდენიმე
ხომალდი
იმსხვერღა



(გაგრძელება.
დასაწყისი იხ. "არსენალი"
№11-12)

XX საუკუნის მეორე ნახევარში ნაღები ისე ინარჩუნებდა ეფექტიან საბრძოლო საშუალების მნიშვნელობას და საზღვაო სამარა მოქმედებებში ნაღების გამოყენებამ აქტიური თუ თვალაკვივო ზღუდეების შექმნაში განსახლებული ადგილი დაიკავა.

პირველი კონფლიქტი, სადაც ნაღებში შექმნილმა თავდაცვითმა ზღუდეებმა საკმაოდ კარგი შედეგი მოიტანა, კორეის ომი (1950-53 წ.წ.) იყო.

ამერიკისა და მოკავშირე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ჩრდილო კორეის სამხედრო-საზღვაო ფლოტთან (3 საზღვაო მინადირი — საბჭოთა პროექტი OD-200, 5 სატრანსპორტო კატარა — საბჭოთა პროექტი F-5, 3 მტრადი ხომალდი, 1 მცურავი ბაზა, 2000 ტონა წყალწვეის 1 სატრანსპორტო გემი, 60-80 ტონა წყალწვეის 6 კატარა და მზუნა, აგრეთვე მშენებლობის სტადიაში 250-800 ტონა წყალწვეის 7 ხომალდი იყო) შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე ჩრდილოკორეელთა ფლოტის წინაშე მხოლოდ ორი ამოცანა დგავდა: მოწინააღმდეგის დაკავებულ ტერიტორიებზე ტაქტიკური დესანტების გადასხმა და ნაღმობურებით დესანტსაშიში სანაპირო ზოლის, პორტებისა თუ სამხედრო-საზღვაო ბაზების მისადგომების დაცვა.

მეორე ამოცანის შესრულებისათვის გვემა ომის მსვლელობისას, 1950 წლის ივლისში დაიშუადა და მის გადასატრიალად ერთ თვეში 60-დან 120 ტონამდე წყალწვეის 35 მეთევხეთა კუნძულისა და მზუნას გაუკეთდა მობილიზაცია. ესეც არ იყო საკმარისი და ცალკეულ შემთხვევაში ჩრდილოკორეელები ნაღების დასაყენებლად ნაუბისა და ტრეფსაც ეყენებდნენ. მომზადება შენაძინა 23-მა გუნდმა გაიარა.

კუნძავი შორეული აღმოსავლეთის წყლებში გაერეცელებული უკუმპანი, სანაპირო ცურვის, იალქიანი სათევზაო ან სატრანსპორტო დანიშნულების გემია. მისი სიგრძე 12-22მ-ს, წყალჯდომი — 0,5-1,3 მ-სა და წყალწვევა კი 3-50 ტ-ს აღწევს.

კორეის ხაზგარკვეული თავთხელი სანაპირო ზოლი და ფსკერის უმნიშვნელო დაზარადა დაზარადა ადგილებდა, მღვივ წყალი კი კარგად ნიღბიდა.

პირველი ამერიკის ავიაციის სრული ბატონობის გამო დანაღმა უსაფრთხოების მიზნით მხოლოდ დამით მიმდინარეობდა, ხოლო ზოგიერთ ნაღმობურას მოწინააღმდეგის მტრადივი ხომალდებისაგან სანაპირო ბატონობა იცავდა.

3-6 ნაღმი მარჩხოვს ქმნიდა, რომელთა შორის მანძილ დაახლოებით 500 მეტრს შეადგენდა. ჩრდილოკორეელებს ნაღების დეფიციტიც ჰქონდათ და 1 მილზე საშუალოდ 20-38 ნაღმზე მეტის დაყენება ვერ ზრუნობოდა. თუმც საფრთხე მანც დიდი იყო და ამერიკის ფლოტმა აქტიური მოქმედება შეუდგა.

ჩრდილო კორეამ საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით სულ 3 ათასზე მეტს ნაღმი გამოიყენა, მათ შორის 1917 წლამდე გამოშვებული რუსული ნაღმებიც იყო. ლობურები, ძირითადად, ღუზის კონტაქტური და იმვითადად კი ფსკერის

უკონტაქტო ნაღმებისაგან შედგებოდა.

განსაკუთრებით გაამართლა მიდრეიფე ნაღებმა. ნაღმს ღუზის მაკერობას 100-კილოგრამიანი ტვირთი უწყვედა, დაძირულ მდგომარეობაში აჩერებდა და დრეიფის საშუალებას აძლევდა.

სექტემბრის დასაწყისში ამერიკული ხომალდები პორტების მახლობლად პირველ ნაღმებს გადაწყდნენ და მომდევნო რამდენიმე დღეში კი ნაღმების რაოდენობამ უფრო და უფრო იმატა.

მიდრეიფე ნაღმები ამერიკულ საზღვაო ხომალდებსა და კრესტერებს ნაპირთან მიახლოებასა და ჩრდილოკორეელებს სანაპირო სამიზნეების საარტილერიო ცეცხლით დამუშავებაში ხელს უშლიდა.

1950 წლის 26 სექტემბერს კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ამერიკული საესკადრო ნაღმისანი DD-745 Brush-ის ცხვირის ქვეშ ნაღმის აფეთქებამ ხომალდს უძიმესი დაზიანებები მიაყენა. ეკიპაჟიდან 13 კაცი დაიღუპა და 34 დაიჭრა. სუთიდან წყოში ხომალდის ცხვირს წყალში ორი მეტრი ჩაიწია, მაგრამ ეკიპაჟის თავდადებით კორაუზში წყლის მუხლის შეჩერება და უახლეს პორტამდე მიღწევა მაინც მოხერხდა.

29 სექტემბერს პორტ ფზოპანის ახლოს ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა ამერიკული მტრადივი ხომალდი AMS-25 Magpei, ხოლო მეორე დღეს ნაღმისაგან საესკადრო ნაღმისანი DD-728 Mansfield-ი დაზიანდა.

28 სექტემბერს ნაღმის აფეთქებისაგან სამხრეთკორეელთა საბაზო მტრადივი Gapeong-ი ჩაიძირა, ხოლო 30 სექტემბერს პორტ მოქფხოხთან ნაღმმა სამხრეთკორეელთა მცირე საბაზო მტრადივი Gaeseong-ი ჩაიძირა.

ნაღმებით შექმნილმა საფრთხემ კონსანის სადგენსა ოპერაცია კოხვის ნაწინს ქვეშ დააყენა. ამერიკელების არაუადი, პორტის მისადგომთან არანაკლებ 3 ათას ნაღმი იყო დაყენებული (სინამდვილეში 500 იყო) და მტრადივი ხომალდების ნაკლებობის გამო გასახლებლების ნაღმებისაგან გაქმნის და დიდი შრომა სჭირდებოდა და დაგეგმილი 5 დღის ნაცვლად ოპერაცია 15 დღეს გაგრძელდა.

ოპერაციის დროს, 12 ოქტომბერს,


ნაღმების აფეთქებამ ამერიკის ფლოტს ორი მტრალავი ხომალდი AM-275 Pirate და AM-277 Pledge დააკარგვინა.

კორეის ომის დასრულებამდე ამერიკელებმა ნაღმებზე 1951 წლის 2 თებერვალს მტრალავი AMS-31 Partridge და 1952 წლის 27 აგვისტოს საზღვაო ბუქსირი AFT-111 Sarsi დაკარგეს. 1951 წლის 12 თენისს დაზიანდა საესკადრო ნაღმოსანი DD-723 Walke. ნაღმების აფეთქების გამო რამდენიმე ხომალდი სამხრეთ კორეის ფლოტსაც გამოაკლდა.

ვიეტნამის ომში (1964-72 წლები) ამერიკელები ნაღმობურების დადებითი წრდილო ვიეტნამის საზღვაო გზებით სამხედრო თუ სხვა სახის დახმარებების მიღებაში ხელს უშლიდნენ.

ამერიკულმა თვითმფრინავებმა წრდილო ვიეტნამის პორტებთან დაახლოებით 11 ათასი ნაღმი დააყენეს. ამ მიზნით საგემბანო ავიაციასთან ერთად სტრატეგიული ბომბდაშენებები გამოიყენებოდა.

თვითმფრინავები სხვადასხვა რაიონების ნაღმებს ატარებდნენ, რაც მათ ნაზუნე იყო დამოკიდებული. საკემბანო მოიერიშეებს A-6 Intruder-სა და A-7 Corsair II-ს 907-კილოგრამიანი 5-6 ნაღმის, ხოლო სტრატეგიული ბომბ-



დაზიანებული ამერიკული სარაკეტო ფრეგატი Samuel B. Roberts-ი

დამშენ B-52 Stratofortress-ს კი — 227-კილოგრამიანი 64 ნაღმის ტარება შეუძლია.

პორტების სრული ბლოკირება მაინც არ მოხერხდა. სატვირთო გემებს ტვირთის სიგანე გარე რეიდზე ცლიდნენ და პორტში პატარა წყალჯდომის მცურავ საშუალებებს შეჰქონდათ.

ნაღმებმა თავად ამერიკელები დაზარალა. 1972 წლის 17 თელის კუნძულ

ზონ-ლონთან საესკადრო ნაღმოსანი DD-843 Warrington-ი ამერიკულ ნაღმზე აფეთქდა და მძიმედ დაზიანდა.

არაბეთ-ინდოეთის ომებში 1967 წელს არაბებმა პორტ აილითის — წითელ ზღვაში გასასვლელისა და 1973 წელს კი ბაბ-ელ-მანდების სრუტის დაბლოკვა სცადეს, მაგრამ ნაღმების სიძინარის გამო გემმა ბოლომდე ვერ მოიყვანეს.

ისრაელიან ომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა 1967 წლის ომის შემდეგ სუეცის არხის დახურვა იყო და ალტანტა-ინდოეთის ოკეანის დამაკავშირებელი უმოკლესი საზღვაო ხაზი თითქმის 8 წელს პარალიზებული იყო.

არხის შესასვლელები ეკვიპტელებმა საბჭოთა წარმოების ნაღმებით უსისტემოდ დანადგეს და ომის შემდგომ, 1974-75 წლებში, განადგოეთი სამუშაოების ჩასატარებლად საერთაშორისო ძალების მოწვევა გახდა საჭირო.

ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ნაღმების გამოყენებით პორტების ბლოკირება და საეკსპოზიციონის მოშლა 1971 წელს პაკისტანთან კონფლიქტში სცადეს. პორტ ჩიტაგონგის ნაწილობრივ ბლოკირება მაინც მოხერხდა, რასაც პორტის აკატორიაში 11 საეკსპო გემის აფეთქება-ჩაძირვა მოჰყვა.

იმავე მიზნებისათვის ანალოგიური საშუალებებით ნიკარაგუას „კონტრას“ ქვეყნის მეთაურის დანიელ ორტგას ხელისუფლების დამხობას ცდილობდა.

1984 წლის იანვარ-მარტში „კონტრასის“ მებრძოლებმა წყნარი ოკეანის სანაპიროზე, პორტ კორინტოსსა და პუერტო-სანდნოს, ხოლო ატლანტის ოკეანის სანაპიროზე კი პორტ ბლუფილდის მისასვლელები დანადგეს. სწრაფხელისანი კატარეებისა და



სადენანტო შეგვეულმფრენშიოდ Tripoli-ზე ნაღმის აფეთქების ეფექტი



სარაკეტო კრეისერი
Princeton-ის
დაზიანებული ადგილი

შეუქმდებლობის დახმარებით 75 ნაღმი დაყენდა. ნაღმებს ცილინდრული ფორმა ჰქონდა და 136 კილოგრამ ფეთქებად მასალას შეიცავდა, რომელიც მოქმედებაში მაგნიტურ ან აკუსტიკურ ამფიფოქს მოჰყავდა. მუხტის აფეთქების ძალა პატარა წყალწყვის გემის ან თევზჭემური სეინერის ჩასაძირად საკმარისი იყო, ხოლო დიდი წყალწყვის გემებს მხოლოდ თუ დააზიანებდა.

დანიელ ორტეგას ჩამოვდება არ მოხერხდა, ხოლო ნაღმებზე აფეთქებულ II სახეობით და თევზჭემური გემი დაზიანდა.

ეკონომიკურად ისედაც სუსტი პატარა ქვეყანა დიდად დაზარალდა, ტერიტორიის საზღვაოდან საავტომობილო ტრანსპორტზე გადატანამ დამატებითი ხარჯი მოითხოვა, მაგრამ პორტების ბლოკირება და საზღვაო მიმოსვლის სრულად შეწყობა მანც არ მოხერხდა.

ირან-ერაყის ომში (1980-87 წწ.) ზღვაზე საბრძოლო მოქმედებებში მოწინააღმდეგეთა ამოცანა იყო ერთმანეთის საუკურო ნაოსნობის მოშლა, რაც ისტორიაში „სატანკრო ომის“ სახელით შვედა.

ორივე მხარე სხვადასხვა საშუალებასთან ერთად ნაღმებსაც იყენებდა. გემების კაპიტნები მაქსიმალურად ციფდნენ უსაფრთხო ცურვის რეკომენდაციებს, დანაღმულ რაიონებს ერიდებოდნენ და სამხედრო ზომალდების დაცვით დაცურავდნენ.

ნაღმებმა დიდად ვერ გააძარღვა ომის დროს დაზიანებული 340 ტანკერიდან და გემიდან ნაღმები მხოლოდ 10 მათგანის მიზეზი იყო.

ნაღმზე აფეთქებას არც სამხედრო ზომალდი გადაურჩა. 1988 წლის 14 აპრილს ყურის ცენტრალურ ნაწილში ირანელთა M-08 მოდელის ნაღმის აფეთქებამ ამერიკული სარაკეტო ფრეგატი FFG-58 Samuel B. Roberts-ს დაა-

ზიანა. კორპუსში 5მ რადიუსის ნახერტი განჩა, დაიტბორა სამანქანო განყოფილება, ეკიპაჟიდან კი 10 კაცი დაიჭრა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ფრეგატის გადარჩენა მოხერხდა.

მოგვიანებით სპეციალურმა, ნახერად დაძირულმა გემმა დაზიანებული ფრეგატი ამერიკაში გადაიტანა. რემონტი 13 თვეს გაგრძელდა და 89,5 მილიონი დოლარი დაჯდა.

1991 წელს ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი ნაღმების გამოყენებით ამერიკისა და კოალიციის ქვეყნების

იტალიური ნარმოების Manta



გაერთიანებული ფლოტის შეჭრებას შეეცადა. აინფრ-თებერვალში ერაყის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ქუეციის სანაპიროსთან დესანტსაშემში მძიმარულუბებზე სხვადასხვა ტიპის 1300 ნაღმი დააყენეს.

სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ ნაწილში კოალიციის მტრალაივი ძალების ფლაგმანის მოვლენობას ამერიკული საღესანტო შეუქმდებლობით LPH-10 Tripoli ასრულებდა. 1991 წლის 18 თებერვალს, საერაულოდ, ერაყელთა LUGM-145 მოდელის ნაღმის აფეთქებისგან ხომალდი მსუბუქად დაზიანდა.

იმევე დღეს Manta-ს ტიპის ნაღმის აფეთქებამ სარაკეტო კრეისერი CG-59 Princeton-ის სანიშნე ლილი და წამყვანი ხზანა დაუზიანა, რის გამოც ხომალდმა რამდენიმე საათი ცურვის უნარი დაკარგა.

განაღმის ოპერაციებმა ძალების მობოლიზაცია მოითხოვა. არსებული მონაცემებით აშშ-ის, ინგლისის, გერმანიისა და ბელგიის მტრალაივი ხომალდებმა 112 ნაღმი გააუვნებლეს.

ერაყის მომდევნო ომის წინ, 2003 წლის მარტში, ერაყის სამხედრო-საზღვაო ძალებმა პორტ უმ-ქასარის მისადგომებში და ერაყ-ქუეციის საზღვართან მდინარე ქაურ-აბუ-ალაბის შესართავის დანაღმე მოასწრეს. ივგემოლა სხვა ადგილებს დანაღმაც. კოალიციის ზომალდებმა ქუეციის ჩრდილო საზღვრების ახლოს ერაყელთა ორი ბუქსირი და ბარგა ბორტზე 1300 ნაღმი დააყვეს.

ომის შემდეგ ერაყში იძიეს ნავთობის გადასაზიდ ლიონის კასრებში დაყენებული უამრავი ნაღმი, აგრეთვე ნაღმების დასაყენებლად გამზადებული პატარა ტრანსპორტის რამდენიმე გემი.

ნაღმი, როგორც საზღვაო ბრძოლის

თვითტრანსპორტირებადი ამერიკული ნაღმი Mk67 SLMM



ძლიერი და მოქნილი საშუალება, შეიარაღებაში იხვე რჩება. მარტივი კონსტრუქცია მისი მრავალმხრივად გამოყენების საშუალებას იძლევა. ხილი ფეხქტიანობით ბევრად ძვირფასი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტას არ ჩამოუკარდება.

ნაღმისათვის დაშვადების დროს მნიშვნელობა არა აქვს. გასული საუკუნის დასაწყისში თუ დღეს დაშვადებულ ნაღმის საბრძოლო მუხტი თვით ვეღლზე თანამედროვე წყალზე და წყალქვეშა ხომალდისთვისაც საშიშია.

ომებიდან შემორჩენილი ნაღმები დიხანს ელიან თავის მსხვერპლს. ამის საუკეთესო მაგალითად შავი ზღვის ფლოტის ხაზაზო ხომალდი „ნოვოროსისკი“ გამოდგება.

1955 წლის 29 ოქტომბერს „ნოვოროსისკი“ სეესტოლოში აფეთქდა და რამდენიმე ასეული მუხლდური იმსხვერპლა. აფეთქება შვირე მსოფლიო იმისდროინდელმა გერმანულმა ნაღმმა გამოიწვია.

იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც სუსტი სამხედრო-საზღვაო ძალები ჰყოთ ან მისი შექმნის საშუალება არა აქვთ, გრძელ საზაპირო ზოლის ნაღმებით დაცვა ერთ-ერთ ვეღლზე იაფ და სახაზურზეელ საშუალებად მიანჩნია. თანამედროვე ნაღმებში გამოყენებულია კომპიუტერები, რომელშიც სამონხნეების საინდენტიფიკაციოდ სხვა დასხვა კლასისა და პრეოქტის ხომალდების წამეკანი ხრანებით წარმოქნილი ხმაურის სიგნალებმა ჩაწერილი.

არის ნაღმი კომბინირებული ამფოქით, რომელიც ერთდროულად რეაგირებს აკუსტიკური, ელექტრომაგნიტური და პიდროინამიკური ვეღის ცვლილებაზე.

სიღველის მიუხედავად ნაღმი მაინც საშიშია



ნაღმების აღჭურვაში შედის: ტრალეებისაგან, მაგნიტომეტრებისაგან თუ პიდროაკუსტიკური საშუალებებისაგან დაცვის საიმელო სისტემები, ტელეარხებით მართვის აპარატურა, სამონხნეების „ქეში-სხვისი“ პრინციპით განმასხვავებელი მოწყობილობა და ა.შ.

შეიარაღებაშია თვითტრანსპორტირებადი ნაღმიც, რომელიც საზაპირო წყალბულ ზოლში ფარვატერების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა თუ პორტების ფარულ დანაღმისათვის შეიქმნა.

ამერიკული წარმოების ასეთ ნაღმს Mk 67 SLMM წყალქვეშა ნავის სატორპედო აპარატებიდან ისერიან და ის განსაზღვრულ რაიონამდე დამოუკიდებლად მიტურავს. ზღვის ფსკერზე „წყება“ და ჩვეულებრივი ნაღმის ფუნქციას იტენს.

Mk 67-ის ცურვის სიზორე დაახლოებით 8,6 მილია, რაც ტრეიტორიული წვეღების სიდრემში შეღწევისათვის საკმარისია.

საზაპირო წყალბული რაიონების დასაცავად იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაღმი — MN 103 Manta შეიქმნა. ფართობზე 3-დან 100 მეტრამდე სიდრემებში და განკუთვნილია წყალქვეშა ნავების, პატარა და საშუალო წყალწყევის ხომალდების, სადესანტო კატარღებისა და სხვა ამფოქიური საშუალებების გასანადგურებლად.

აქვს ვადაჭრილი კონუსის ფორმა და მინაბლასტიკის კორპუსი. იწონის 220 კგ-ს და შეიღვეს 130 კგ ტროტილის ეკვივალენტ საბრძოლო მუხტს. ზეზანების ზონა 20-30 მეტრია. მოქმედებაში აკუსტიკური და მაგნიტური სიგნალებით მოდის. აღჭურვილია ტელეპაროვის სისტემებით.

ფოთში დისლოცირებული შავი ზღვის ფლოტის 184-ე საზღვაო ბრეადამ 1992 წელს ფოთიდან 300 საზღვაო ნაღმი გაიტანა და როგორც ამბობენ, ვულევის აზლის, ზღვაში გადაარა.

ახლაც დროადრო ჩნდება ინფორმაცია ძველი ნაღმების პოვის შესახებ. მიმდინარე წლის 31 მარტს სეესტოპოლის მახლობლად პირველი მსოფლიო იმის დროს დაეყენებული 1912 წლის რუსული მოდელისა და შვირე მსოფლიო იმის დროინდელი გაქმანული UMA მოდელის ნაღმი გააყენებლეს. ასეთ დროს საშიში რაიონი იზურება და თუ ნაღმი ტრანსპორტირების საშუალება იმსხვერპლად, გასანადგურებლად სხვა ავგილზე გადაიქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგობზეუვ ანადგურებენ.

თეიმურ ჩარბენიძე

თაიზის გავანერგვის კლინიკა

თაიზის ალფანგეიმი ძიერუნების საინფორმაციო საზოგადოების -ISHRS- შიხნი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხანძისი, გარანტირებული შედეგები

ფოსტალური მონიტორინგის მართვანი ტრანსლანგუაჟიანი, სპანოლინგოლოგიური ტრენინგები, FOX-პროგრეზი, უანგამისა და უაროების გარუნგება

თაიზის გავანერგვა სონიბილგება 2-3 საათში უმბამენელოდ

გავანერგვა იმის ბუნებრივი ტრენინგის და ან კონია, კონსულტაციური უმბამისა და პრეინგები

მისაბათობი: ძ. თაიზისი, ტაქსიბის ძ. № 27 ტელ: 25-37-39; 37-50-89

www.talizi.ge www.talizi.net www.talizi.com

საზღვაო მარშრუტები



„აკულას“ პროექტის ბალისტიკურაკრემბოინი წყალქვეშა ნავი

გრძელდება რუსული ატომური წყალქვეშა ნავების უტილიზაცია

დასრულდა რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის 941-ე „აკულას“ პროექტის ბალისტიკურაკრემბოინი ატომური მესამე მძიმე წყალქვეშა კრემბოინის უტილიზაცია.

2008 წლის 4 ივლისს კრემბოინი TK-13 დოკამენტში უტილიზაციისათვის დააყენეს და მიმდინარე წლის მასში კორპუსიდან რეაქტორის ნაკეთობის ამოღების ოპერაცია დასრულდა. ნაკეთობის ბუქსირებით კოლის ნახეარკუნტულზე დროებით შესანახად გადაიტანენ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა პროექტი „აკულა“ ამერიკული Ohio-ს საპირისპიროდ შეიქმნა, მაგრამ საბჭოთა წყალქვეშა ნავების სიცოცხლე

საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. 1981-89 წლებში საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტში სულ 6 ხომალდი მიიღო და 90-იან წლების დასაწყისში რუსეთი-აშშ-ის შეთანხმების შემდეგ სამი მათგანი: TK-202, TK-12 „სიმბირსკი“ და TK-13 ჩამოსწორა და უტილიზაციისათვის სვედოლენისკის ქარხანა „ზენდოქასკ“ გადაეცა. უტილიზაციის ხარჯები აშშ-მა, კანადამ და რუსეთმა ერთობლივად გაიღეს.

მსოფლიოში ყველაზე დიდი „აკულას“ პროექტის წყალქვეშა ნავების სრული წყალქვეშა 50 ათას ტონას აღწევს და ამ მანქანებით ის აუაზშიდ მძიმე კრემბოინი „ამბირალ გორმკოვსკი“ კი აღემატება.

სხვა წყალქვეშა ნავებს: TK-208 „დმიტრი დინსკოის“, TK-17 „არხანგელსკია“ და TK-20 „სვედრსტალს“ გადაეკეთება ან ჩამოსწორა მოელოს.

ძველი ხომალდები ბუნების სამსახურში

ამერიკელი მეცნიერები და სამხედროები განაგრძობენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძველი ხომალდებისა და გემების გამოყენებით მარჯნის ზღვლოზური რიფების შექმნის ექსპერიმენტებს.

27 მაისს რიფის შესაქმნელად ასეულობით ცნობისმოყვარის თვალწინ სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემი USNS General Hoyt S. Vandenberg-ი მექსიკის ყურეში კეი-უესტის მახლობლად სულ რაღაც 2 წუთში 40-45მ სიღრმეზე ჩაძირეს.

General Hoyt S. Vandenberg-ი მეორე მსოფლიო ომის დროს აგებული გემი და სამხედრო ტრანსპორტის დანიშნულებას ასრულებდა. შემდეგ მიღწინააღმდეგარა და 1961 წლის 15 ივლისიდან სამხედრო-საპაირო ძალების განკარგულებაში იყო როგორც ბალისტიკური რაკეტების გამოცდისა და კოსმოსურ ობიექტებზე დაკვირვების გემი.

1983 წელს გემის სამხედრო სამსახური დასრულდა და კარგა ხანს რეზერვში ირიცხებოდა.

ჩაძირამდე Vandenberg-ზე მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა და კორპუსი კაბელებს, აზბესტისა და სხვა ეკოლოგიურად საშიში ნივთიერებების შექცეული მასალებისაგან გათავისუფლდა.

17250 ტონა წყალქვეშის გემს მინიმუმ 100 წელიწადში იფხუები და ოქრანის სხვა ცოცხალი ორგანიზმები სრულად ათავისებენ, მანამდე კი ყველაზე ხშირი სტუტები დაფერები იქნებიან. ზღვა ნაშენები წყლის ზედაპირიდან რაღაც 15-20 მეტრით არის დამორებული, ხოლო გემის კაიუტები და სათავსები დაფერების მიზიდვასთან ერთად კეი-უესტის საქალაქო ბუიუტს წელიწადში 6,6 მილიონი დოლარის შემოსავალს მოუტანს.

2006 წლის 17 მაისს ასევე ზღვლოზური მარჯნის რიფის შესაქმნელად ამერიკელებმა კორეისა და ვიეტნამის ობიექტის მონაწილე ავიამზიდი CV-34 Oriskany ფლორიდის სანაპიროსთან 60მ სიღრმეზე ჩაძირეს.



General Hoyt S. Vandenberg ჩაძირვის წინ

არაერთისინდისიერმა თანამშრომელმა ამერიკის ფლოტის თავსატეხი გაუჩინა

ამერიკული კორპორაცია Northrop Grumman-ის სპეციალისტებს დიდი სამუშაო მოელოთ, — 8 ატომურ წყალქვეშა

შა ნავსა და 1 ავიამზიდზე არანაკლებ 10 ათას შედუღების ადგილს შემოწმება უნდა ჩაუტარდეს.

კორპორაციის ერთ-ერთი არაკეთილსინდისიერი თანამშრომელი ხომალდებზე შედუღების ადგილებს არ ამოწმებდა და შედუღების ფლსიფიცირებით იყო დაკავებული.

ეს 14 მაისს გახდა ცნობილი, როცა ამ ინსპექტორმა უფროსს შემოწმების ანგარიში ისე წარუდგინა, რომ სინამდვილეში არაფერი გაუკეთებია. ის კორპორაციაში 2005 წლის ივნისიდან მუშაობდა და ამჟამად სამსახურიდან უკვე დათხოვნილია, მაგრამ მის ვინაობას, ჯერჯერობით, არ ახმაურებენ.

შემოწმება კი მოელის ფლოტის სამსახურში მყოფ Virginia-ს სერიის ატომურ წყალქვეშა ნაუბს: New Mexico-ს, Missouri-ს, California-სა და Mississippi-ს, აგრეთვე მშენებლობის სტადიაში მყოფ სუბმარინებს. შესამოწმებელია ცოტა ხნის წინ ფლოტისათვის გადაცემული უახლესი ატომური ავიამზიდი George H.W. Bush-ი.

ავიამზიდ Vikramiditya-ს მოდერნიზაცია კიდევ გაძვირდა

ინდოეთი ახლო მომავალში დამატებით ფინანსებს გამოუყოფს ავიამზიდ Vikramiditya-სათვის, რომლის გადაკეთებამოდერნიზაცია სვედროდენისკის ქარხანა „სვეპაშიპ“ მიმდინარეობს.

მძიმე ავიამზიდი კრეისერი „ადმირალი გორშკოვი“ (პროექტი 1143.4) ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში 1987 წელს შევიდა და 1991 წელს მომხდარი ავარიის შემდეგ რემონტზე იმყოფებოდა.

1994 წელს ზომილით ინდოეთი დაინტერესდა და ხანგრძლივი მოლაპარაკებები 2004 წლის 20 იანვარს შუთანხმებამდე ხელმოწერით დასრულდა. ზომილს ინ-



ავიამზიდი „ადმირალი გორშკოვი“

დოეთი უფასოდ მიიღებდა, მაგრამ დაფარავდა მოდერნიზაციას და (974 მილიონი დოლარი) და საავიაციო შეიარაღების (530 მილიონი დოლარი) ხარჯებს.

პირველი გვემბით ინდოეთი ავიამზიდ Vikramiditya-ს 2008 წლის აგვისტოში ჩაიბარებდა, მაგრამ მოდერნიზაციის პროცესში ბევრი ტექნიკური სართულე გაიძინდა. ქარხანა „სვეპაშიპ“ ყოველივეს წყალქვეშა ნაუბს აკვება და ავიამზიდის რემონტი მისთვის სრულიად ახალი მიმართულება იყო, რომლისთვისაც ის მოუშადადებულ ადმოჩნდა.

გრაფიკთან ჩამორჩენა რუსებმა, სარემონტო-მოდერნიზაციის საშუალო არასწორი გათვლით ახსნეს და გასული წლის ნოემბერში ისიც კი თქვეს, რომ ზომილდის საკუთარი ფლოტისათვის დატოვებას აპირებდნენ.

ცოტა ხნის წინ სვედროდენისკში ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელი კონტრადმირალი ნაირ პრემ კუმარი იმყოფებოდა და დე-

ლიმ კიდევ 1 მლრდ დოლარის გამოყოფაზე თანხმობა განაცხადა.

დამატებითი დაფინანსებით მუშათა რაოდენობა 2500-მდე გაიზარდება და მუშაობის ინტენსივობა მოიმატებს. ქარხანა ამ გზით ჩამორჩენის დაძლევისა და ზომილდის ინდოელებისათვის გადაცემას 2012 წლისათვის აპირებს.

ამჟამად ზომილდის მზადყოფნა 50% შეადგენს და მომავალი წლისათვის წყალში ჩაშვება არის განზრახული.

ავიამზიდმა Vikramiditya-მ უნდა შეცვალოს ავიამზიდი Viraat-ი (ყოფილი ინგლისური ავიამზიდი Hermes-ი), რომელიც 1959 წლიდან დაცურავს.

ავიამზიდისათვის უკვე მზად არის საავიაციო ჯგუფი: 16 ავიაგამანდგურებელი მიგ-29კ, 4 სასწრაფო-საბრძოლო მიგ-29კუბ, 8 შეკვლამფრენი Ka-28, 1 — Ka-31 და 3 ინდური წარმოების მრავალმხრივი დაინშნულების შეკვლამფრენი Dhruv-ი.

თეზურ ჩარანიძე

Oriskany უკვე როდის დანიშნულებას ასრულებს



კავკასიური მოვლენების მიმოხილვა



რუსეთი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ინტეგრაციის განაგრძობს

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანელი სამხედრო ექსპერტ უხერი ჯაფაროვის აზრით, კოლექტიური ოპერატიული რეაგირების ძალების შექმნით რუსეთი ცდილობს წინ აღუდგეს NATO-ს, მაგრამ ეს სასაცილოა. ჯაფაროვის შეფასებით, NATO-ს სამშვიდობო ოპერაციებში საბრძოლო მოქმედებათა წარმოების უზრუნველყოფის გამოცდილება და პრაქტიკა აქვს, ხოლო კოლექტიური ოპერატიული რეაგირების ძალების სამოქმედო არეალი სწავლებებს არ გასცდება. ყარაბაღთან დაკავშირებით ექსპერტი მიიჩნევს, რომ პრობლემის ძალიან იერი გადწვევების შემთხვევაში აზერბაიჯანს წინ კოლექტიური ოპერატიული რეაგირების ძალები ვერ დაუდგება. ბაქოს აქვს გაეუროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები თუ უფლებები, სადაც აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა ყარაბაღთან ერთად არის განხილული.

ჩრდილო კავკასია

● რუსეთის სასაზღვრო სამსახურის უფროსის მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი რიბაქინის თქმით, „საქართველო-აფხაზეთისა“ და „საქართველო-ცხინვალის რეგიონის“ საზღვრების კითხვით დასრულებულია რუსეთი 2011 წლისათვის დაასრულებს. რუსი გენერლის აზრით, სასაზღვრო ინფრასტრუქ-

ტურის შექმნა ჩვეული სამუშაოა, რადგან ხალხმა ნორმალურ პირობებში უნდა იცხოვროს და საზღვრის დაცვას სათანადო ტექნიკური საშუალებები ესაჭიროება. რუსეთის სასაზღვრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის განცხადება მიანიშნებს, რომ მოსკოვი ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას განაგრძობს.

● 10 თენისს, საღამოს, რუსუბელიკა ჩრდილო ოსეთი-ალანიას სამართალდამცველებმა ქალაქ ბესლანში მცხოვრებები უშუქვეარი ქალბატონის ბინიდან 21 ყუმბარასატყორციანი PNF-26 და PNF-18, 12,7 მმ-იანი ტყვიამურქვევი Ytec -1 და სხვადასხვა კალიბრის ვახუბი ამოიღეს.

● ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე 29 თენისიდან 6 თენისამდე რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერლის ნიკოლაი მაკაროვის ხელმძღვანელობით ოპერატიული-სტრატეგიული სწავლება „კავკავ-2009“ ჩატარდება. სწავლებაში მონაწილეობას მიიღებს 8500 სამხედრო, 200-მდე ტანკი, 450 ჯავშანტრანსპორტიორი და 250 სხვადასხვა საარტილერიო სისტემა. დაგეგმილია ტექნიკური სწავლებები 2000 სამხედროს, 80 ტანკის, 100 ჯავშანტრანსპორტიორისა და 100 საარტილერიო სისტემის მონაწილეობით. სწავლებებზე შეფასდება ჯარების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა, ჯარების

პრაქტიკული მოქმედებები მდგომარეობის გამწვავების პირობებში კრიზისული სიტუაციის რეჟიმთან შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის დროს. დამუშავდება საარმიო ნაწილების მონაწილეობა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის უზრუნველყოფაში, ტაქტიკურ რეგლამი საერთო-საჯარისო ბრძოლის წარმოება, კონტრტერიტორიული ოპერაციის ჩატარება, ტერიტორიული და სამოქალაქო თავდაცვის ელემენტები, სხვადასხვა ძალიან სტრუქტურათა ზურგისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ამოცანები და სხვ.

კონფლიქტური კავშირები

რუსეთის არმიის სახმელეთო ჯარების სარდლის არმიის გენერლის ვლადიმერ ბოლდინის განცხადებით, ცხინვალის რეგიონს და აფხაზეთში მძიფრავლობით მე-4 და მე-7 სამხედრო ბაზები აბსოლუტურად ბრძოლისუნარიანი შენაერთებია, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლო ტერაქტებისაგან და პირდაპირ აგრესიისაგან დაცვა შეუძლიათ. ბაზების პირადი შემადგენლობის მომზადება რუსეთის სახმელეთო ჯარების მუდმივი მზადყოფნის პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს. სწავლებები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ასეულის (ბატარა), ხოლო რუსეთის ტერიტორიაზე კი ბატალიონის დონეზე მიმდინარეობს. მისი თქმით, ცხინვალისა და სოხუმის რეჟიმმა უკვე გამოიყენა მისი ნაკვეთი სასროლეთები, სატანკო დირექტრისების, ტანკდრომებისა და ავტოდრომების მოსაწყობად.

● რუსეთის შეიარაღებული ძალების განმტკიცების უფროსმა, არმიის გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა საფრანგეთში ლე-პურეუს აფასალონზე განაცხადა, რომ რუსეთის არმიის ქვედანაყოფების რიცხუვნობა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში უნდა შემცირდეს. მისი აზრით, ცხინვალისა და აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა ამოცანების ერთი ნაწილი თავად უნდა გადაწყვიტონ, ხოლო რუსეთის არმია სტაბილიზაციასა და ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფს.

ჩინეთი სარაკვებო კაბარღების მშენებლობას აბრკებებს




ჩინეთის საზღვრო რეისებულ კის სამხედრო-საზღვაო ძალებმა 2004-08 წლებში შინაიში მდებარე გემთსამშენებო და ახალი 022-ე პროექტის 20-მდე სარაკვებო კატარღა მიიღო.

პირველად სარაკვებო კატარღებისთვის გამოყენებულა სპეციალური SWATH ფორმის კატამარანის კორპუსი. კატამარანი მაღალ ხიჩარზე ცურვის დროს ნაკლებმდგრადია, ამიტომ კორპუსისთვის სპეციალური ფორმის მიცემა გახდა საჭირო, რომელიც მდგრადობას ძლიერი ღელვის დროსაც კი ინარჩუნებს.

კატარღები „სტელის“ ტექნოლოგიების გამოყენებით აიგო და სრულიად განსხვავებული კამუფლაგი აქვს.

კატარღის წვალწევა 220 ტონას, ხოლო სიგრძე კი 42,6 მეტრს აღწევს. ხიჩარზე 36 კანაბია, ცურვის სიმძორე უკონომური სელით 1800 შილი, ხოლო ეკიპაჟი 12-14 კაცისაგან შედგება.

შეიარაღებაში შედის: 4 ხომალდსაწინააღმდეგო C-803 ტიპის რაკეტა და ექვსლულიანი 30 მმ-იანი AK-630 ტიპის საზენიტო ავტომატი.



ქრისტიანული კვლევა



6

	1		2		3		4
5							
6							
				7			8

9		10		11			
---	--	----	--	----	--	--	--

13							12
----	--	--	--	--	--	--	----

16			17				
----	--	--	----	--	--	--	--

19	20						
----	----	--	--	--	--	--	--

				22		23	24
--	--	--	--	----	--	----	----

25						26	
----	--	--	--	--	--	----	--

27							28
----	--	--	--	--	--	--	----

29							
----	--	--	--	--	--	--	--

				30			
--	--	--	--	----	--	--	--



24

--	--	--	--	--	--	--	--

14	15						
----	----	--	--	--	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--

18							
----	--	--	--	--	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--

21							
----	--	--	--	--	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--



12

თარაზულად

5. ამერიკული ავტომობილი; 6. გერმანული პისტოლეტი, რომლის სახელწოდებაც ლათინურად ნიშნავს — „უშხადე ომისათვის“; 7. საფანტიანი იარაღის ვაზნების მწარმოებელი რუსული ფირმა; 8. ვისივე არ რისამე მოსიბა, ბოლოს მოღება; 9. ესპანური რეკვილეგრი; 10. იაპონური მაფია; 11. ამერიკული საბავო-საპატრულო თვითმფრინავი; 12. გიორგი შენგელაიას ფილმი „... და გოგია“; 13. იტალიური სახეივანო-სარაკეტო კომპლექსი; 21.

კვტერანი ქართველი კალათბურთელი; 24. პირველი რუსი კოსმონავტი; 25. ქალაქი საქართველოში; 26. იტალიის ტელევიზია; 27. ბერძენთა უმამაცესი გმირი, რომელიც მონაწილეობდა ტროას აღებაში; 28. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი; 29. მშველდით ან არბალეტით სატყორცნი; 30. რუმინული სამხედრო თვითმფრინავი.

შეშალად 1. ჩუქნეი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, იქქერიის პრეზიდენტი; 2. გრძელვადიანი საარტილერიო იარაღი; 3. სამწახნაგა პირის მქონე ხანჯალი; 4. ჯაფა, გარჯა; 8. ორკორპუსიანი გემი; 9. იგეეა, რაც პოლეკი; 10. ჩოგბურთის მოღვანი; 11. ორთაბრძოლა რაიმე იარაღით; 12. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი; 15. აშშ-ის საზღვაო-კვეთი ჯარების ავიაბაზა; 17. თავისუფური, არაჩვეულებრივი; 20. ფლორის სარდალი ძე. საბერძენოში; 22. სპორტის სახეობა; 23. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 24. კანადური სამხედრო შვეულმფრენი.

ურნლის წინა ნიშნში გამოქვეყნებული „არსნალორის“ პასუხები: **თარაზულად**: 5. ფერდინანდი; 6. ბომბარდირი; 7. ამონალი; 8. რუხილენცია; 11. მარსი; 13. დრენე; 14. ლასო; 15. გასერი; 16. აზონი; 17. სუანი; 19. გრო; 21. ექსპანსია; 23. კრელი; 24. ვალე; 25. ბრიგადა; 27. ლევი; 28. ბანკი; 29. ჩიგალი. **შეშალად**: 1. რეულომი; 2. რიგარმი; 3. სარდინია; 4. მისისიპი; 8. რაიდერი; 9. იჩიტა; 10. ემელინი; 11. მაჭახელი; 12. სპარინგი; 14. ლახარეტი; 18. სკიბობი; 19. გოზა; 20. ოსეალი; 22. ქნეხეთი; 26. გეკო.

PP-2000

ახალი
კომპაქტური
პისტოლეტ-
ტყვიამფრქვევებით
კრემლის უზოს
იცავენ

თავდაცვის პერსონალური იარაღი რუსულად



ლეტზე უფრო ძლიერი იყო, თუმცა ტრადიციულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებზე უფრო კომპაქტური.

მარტივად რომ ეთქვათ, იმ სამხედროს, რომელსაც შტაბით არ ეკუთვნოდა ავტომატური გრძელ-ლულიანი საბრძოლო იარაღი, მთლად დაუცველად რომ არ ეგრძნო თავი, მოუგონეს ახალი ავტომატური ცეცხლსასროლი საშუალება, რომელიც ხელს არ შეუშლიდა ძირითადი საბრძოლო ამოცანის შესრულებაში, საჭიროების შემთხვევაში კი თავის დაცვის საშუალებას მისცემდა მცირე დისტანციაზე.

ასეთი იარაღის ერთ-ერთი პიონერი გერმანული Heckler und Koch-ის PDW-ე 4,6მმ-იანი MP7 გახდა, თუმცა პირველობა, ეფუძნება, მაინც ბელგიურ 5,7მმ-იან P90-ს ეკუთვნის.

მათი მიბაძვით PDW-ს რუსული ვარიანტი ტულის საიარაღო ქარხანაში 2004 წელსაც შექმნეს.

რუსული თედაცვის პერსონალური

დამხმარე ცეცხლსასროლი იარაღით მებრძოლების აღჭურვას აიწვევებინა განმავლობაში ყურადღება ნაკლებად ექცეოდა, მოაფარი იყო არტილერიისტს პაუზიციდან ზუსტად ესროლა, ხოლო ტანკისტს რამდენიმე ათეულტონიანი ჯაგშიანი მონსტრი შეტევებზე დროზე გადაეყვანა, ხოლო მათ ქაშაში პისტოლეტი ექნებოდათ გარკობილი თუ მხარზე ერთმეტრიანი შაშხანა ჩამოკიდებული (არტილერიისტების შემთხვევაში), ეს მცირეზარისი ხოცა იყო.

მაგრამ XX საუკუნის ბოლოს დასაწყისში იარაღის ახალი კლასიფიკაცია — PDW — თედაცვის პერსონალური იარაღი გამოჩნდა, რომელიც პისტო-



pp-2000

იარაღი ПП-2000 დასავლური ანალოგებისგან განსხვავებით ისევ ტრადიციულ 9მმ-ზეა გათვლილი, ოღონდ ეს ვაზნა 9X19მმ ტიპისაა და არა „მკაროვის“ 9X18მმ ტიპის.

9X19მმ ტიპის 7H31 ვაზნების სასროლად მანამდე სპეციალურად შეიქმნა პისტოლეთი ПШ-18, რომელიც თავისი შესაძლებლობებით საკმაოდ მაღლა დგას სხვა რუსულ თანამედროვე პისტოლეტებზე.

ლოგიკურად რუსული PDW-ს კალიბრი ისევე უნდა შეცვლილიყო, როგორც ბელგური P90-ისა (5,7მმ) და გერმანული MP7-ისა (4,6მმ), რომ შემცირებულიყო უკუცემის იმპულსი და შესაბამისად, იარაღის მასა და


გაბარიტები.

მაგრამ რუსი კონსტრუქტორები სხვა გზით წვიდნენ და ჩათვალეს, რომ მათი ПП-2000-ით ნასროლი 9მმ-იანი ტყვია ეფექტიანი იქნება როგორც ჯაუშანჭილეტის გასახერხებლად, ისე უჯაუშანჭილეტო ადამიანის დასაზიანებლადაც. ითვლება, რომ დასავლური PDW-ების 4,6მმ და 5,7მმ კალიბრის ტყვები კარგად ხერხებენ ჯაუშანჭილეტებს, მაგრამ დაუცველი ადამიანის სხეულზე მოხვედრისას არცთუ ისე დიდი შემანერებილი ეფექტი აქვს.

ПП-2000 ორიგინალური ფორმით გამოირჩევა, თუმცა შედარებით მარ-

ტივი კონსტრუქციისაა. მისი ავტომატიკა აგებულია თავისუფალი საკეტის მოძრაობაზე. ისერის დახურული საკეტიდან, საცემ-სახლეუტი შექანისში ჩაზნახიანია. პისტოლეტ-ტყვიამფრქვე-

6137/22



ბელგური P90 — პირველი PDW



გერმანული MP7

ვის კორპუსი გამძლე პლასტიკისგანაა დამზადებული. საკეტის წინა ნაწილი ღულის ზემოთ ღიადაა განთავსებული. საკეტის გადამტეხი სახელეულის მოტრიალება მარცხნივაც და მარჯვნივაც შეიძლება, რაც ძალზე ორიგინალური გადაწყვეტილებაა.

ПП-2000 ორიგინალური კიდევ იმთავითვე არის, რომ სათადარიგო სუაზენ კოლოფი უკან უკეთდება და კონდახის როლს თამაშობს. ეს კონსტრუქცია დაპატენტებულია, მაგრამ რამდენად მოხერხებულია ავტომატური ჯერით მსროლელისთვის, მხელი სათქმელია.



ПП-2000-ს პირველ ვარიანტში კონდახის მაგივრობას სათადარიგო სუაზენ კოლოფი სწევდა

ჩაბი დოსი: **ПП-2000** გათვლილია 9X1988 კალიბრის რუსულ ვაზნებზე, თუმცა სპეციალური შეკვეთის შემთხვევაში 9X1988 Luger/Para ტიპის დასავლურ კალიბრზე გათვლილსაც გამოუშვებენ.

იარაღის მასა 1,4 კგ-მდეა. გაშლილი კონდახით სიგრძე 582 მმ-ს შეადგენს, კონდახის დაკეცივის შემდეგ კი 340 მმ-მდე მცირდება. სროლის ტემპი წუთში 600 გასროლამდე აღწევს. მჭიდო ორი სახისაა — 20 და 30 ვაზნაზეა გათვლილი.




ПП-2000-ი ოპტიკური სამიზნით და ტაქტიკური ფარით

უტყობა, ამითაც იყო განპირობებული, რომ **ПП-2000-ის** მოდერნიზებულ ვარიანტში სათადარიგო სავაზნე კოლოფის ნაცვლად იარაღის პოლის დასაკეცი ნამდვილი კონდახი დააყენეს.

სროლის ეფექტიანი მანძილი 100მ-ითაა განსაზღვრული, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ 9X198მ-იანი ძლიერი ვაზნის გამოყენებისას წარმოქმნილი უკუცემის მნიშვნელოვანი იმ-

პულსი და იარაღის მცირე მასა (1,4 კგ-მდე) კარგ მსროლელსაც საშუალებას მისცემს 100მ-ში ავტომატური ჯვრით მიზანი ზუსტად დააზიანოს.

პრინციპში **PDW** კლასის იარაღის ამ სისორეზე სროლამ არც უნდა მოუწიოს, რადგან ის თავდაცვის ინდივიდუალური იარაღია და, ძირითადად, 5-15მ რადიუსში გამოიყენება.



7M31 ტიპის ვაზნა და მის მიერ გახვრეტილი ჯავშანფილა



ჩვენი აზრით, **ПП-2000-ში** ყველაზე სანტერუსო არა მისი ორიგინალური დიზაინია, არამედ **7H21** და **7H31** ტიპის გაძლიერებული სიმძლავრის ვაზნებია, რომელთა ტყვიები ახლო მანძილზე ჯავშანფილტების უმეტესობას ხვრეტს და შეუჯავშნავ მანქანებში მსხლიმბესაც აზიანებს.

ირაკლი ალადაშვილი

ПП-2000

